ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 აპრილი, 2020 №78 (8342) ფასი: 60 თეთრი

პრესის ჯიხურებს საგანგებო მდგომარეობის დროს საქმიანობა არ ეზღუდება

გვ.4

„შეუძლებელია, „ოცნების“ რეიტინგმა მოიმატოს“

ნიკა ჩიტაძე: „კორონავირუსის მიუხედავად, დასავლეთის ზეწოლა იქნება, არჩევნები 120/30-ზე ჩატარდება“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „არჩევნების გადადება ახლა ოპოზიციას აწყობს“

გვ.3

„იმედი მაქვს, რომ საპატრიარქო შექმნილი ვითარების ადეკვატურად მოიქცევა“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „1.000 ლარი ყველა ოჯახზე უნდა გაიცეს, ვისაც 40 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი აქვს“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „კორონავირუსი ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეა“

ვახტანგ გომელაურმა შიდა ქართლში მდებარე საგუშაგოები მოინახულა

გვ.5

ოკუპირებულ აფხაზეთში საკარანტინე ზონები მოეწყო

გვ.4

გალელი ქალი, რომელსაც კორონავირუსი დაუდგინდა, რუსეთიდან ჩამოვიდა

ISSN 1987-9385

5 ქუთაისში გოგი წულაია დააკავეს

2 ნიკა გამყრელიძემ საავადმყოფო დატოვა

5 მამაკაცს 16 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან სექსის გამო 8 წელი მიესაჯა

6 მსოფლიო, შესაძლოა, საკვების კრიზისის წინაშე აღმოჩნდეს

ნიკა ჩიტაძე: „შეუძლებელია, „ოცნების“ რეიტინგმა მოიმატოს“

„კორონავირუსის მიუხედავად, დასავლეთის ზეწოლა იქნება, არჩევნები 120/30-ზე ჩატარდება“

იაგო ნაცვლიშვილი

კორონავირუსი მთელ მსოფლიოს ტვირთად აწევს. გარდა ჯანმრთელობისა და ადამიანური ტრაგედიებისა, არსებობს მკვეთრად უარყოფითი მოლოდინი ეკონომიკასთან მიმართებითაც. სხვადასხვა ქვეყნები ამისთვის უკვე ემზადებიან. სავარაუდოდ, ამას დიდი გავლენა ექნება პოლიტიკურ პროცესებზეც. საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა უკვე აშკარაა. ობიექტური მიზეზების გამო შეჩერდა მუშაობა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.
ხომ არ მოხდება ამ სიტუაციის გამოყენება „ქართული ოცნების“ მხრიდან, იქნება თუ არა სათანადოდ შეფასებული დასავლეთის რეაქციები და ჩატარდება თუ არა არჩევნები იმ სისტემით, რომელზეც შეთანხმება პოლიტიკურმა აქტორებმა მიაღწიეს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს:

— იმ ვითარებაში, რაც დღეს ხდება, ვხედავთ, რომ გარკვეულწილად ნდობას იბრუნებს საზოგადოებაში „ქართული ოცნება“. ეს აისახება მის რეიტინგზე თუ ეს მხოლოდ მოკლე ვადით აისახება და გრძელვადიან გათვლაზე გავლენა ვერ ექნება?

— შეიძლება გატარებული ღონისძიებების შემდეგ მოსახლეობის ნაწილში მოიპოვოს ნდობა, მაგრამ არა მგონია, რომ მეორე ნაწილში ნდობა მოიპოვოს. თუნდაც იმიტომ, რომ ვხედავთ, როგორ გაუფასურდა ლარი, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი დარჩა უმუშევარი და შემოსავლის გარეშე. ბევრ ადამიანს უნდა გარეთ გასვლა, მაგრამ ვისაც საკუთარი მანქანა არ ჰყავს, ვერ გადაადგილდება, ტაქსით გადაადგილება კი ძვირია. მით უმეტეს, თუ საქმე ეხება ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადაადგილებას. ამიტომაც, მე მგონია, რომ შეუძლებელია რადიკალურად მოიმატოს „ქართული ოცნების“ რეიტინგმა.

თუმცა, მე არ მინდა დავუკარგო ის ძალისხმევა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ეწევა. თუნდაც ის ფაქტი, საქართველომ შეძლო ამ ეტაპის მონაცემებით, რომ თავიდან აეცილებინა მსხვერპლი. ღმერთმა დაიფაროს საქართველო მსხვერპლისგან და იმედი ვიქონიოთ, რომ მსხვერპლი არ გვეყოლება. საქართველო გამოწვევას გაუმკლავდა სამხრეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით. ამ ეტაპზე მიღწეული წარმატება ხელისუფლებას არ უნდა დავუკარგოთ. მან მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაწია. აქედან გამომდინარე მოსახლეობის ერთ ნაწილში ის მოიპოვებს ნდობას, მაგრამ მეორე ნაწილში, იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ეს მასზე უარყოფითად იმოქმედებს.

გასაგებია, რომ მთავრობას ვერ დააბრალებ ყველაფერს. კორონავირუსამდე დაშვებული შეცდომები ხელისუფლებას დაბრალდება და შესაძლოა ახლა იძულებითი ნაბიჯებია ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ხელისუფლების მიმართ მაინც ნეგატიური დამოკიდებულებაა.

მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგის მნიშვნელოვნად მატება მოსალოდნელი არ არის. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციაც აქტიურობს და, შესაძლოა, ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს ხელისუფლების მოქმედებები.

მხედველობაში მაქვს ის, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სთავაზობს ხელისუფლებას, რომ ქართველებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან უფასოდ ჩამოიყვანს, ხოლო ხელისუფლება უარს აცხადებს, ამან შეიძლება უარყოფითი ეფექტი იქონიოს. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ რადიკალურად მოიმატებს მმართველი პოლიტიკური ძალის რეიტინგი.

— იგივე ეკონომიკურ ნაბიჯებთან დაკავშირებით იქნება ცალსახა შეფასება თუ შესაძლოა მოსახლეობის ნაწილმა დაუწუნოს ნაბიჯები ან დაგვიანებულად ჩაუთვალოს?

— რასაკვირველია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არ უნდა ველოდოთ „ქართული ოცნების“ რეიტინგის მნიშვნელოვნად მატებას. თუმცა, ობიექტურად უნდა შევაფასოთ ყველაფერი. ერთი მხრივ, ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებად და შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ საქართველომ თავიდან აიცილა მსხვერპლი, მაგრამ, მეორე მხრივ, არ მოხდა გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება ეკონომიკის ნაწილთან მიმართებით. ლარის დევალვაცია განსაკუთრებით მძიმა მოსახლეობისთვის, მით უფრო, როდესაც ის სხვა ვალუტებთან შედარებით კიდევ უფრო გაუფასურდა, დაახლოებით 30%-ით გაუფასურდა. გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს.

— რა ბედი ელის არჩევნებს? ხომ არ მუშაობს კორონავირუსი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ? მიღწეული შეთანხმება საფრთხის ქვეშ ხომ არ დგება და ისევ უარს ხომ არ იტყვის ხელისუფლება საარჩევნო ცვლილებებზე?

— შესაძლებელია ეს მოხდეს, თუ გაგრძელდება კრიზისი, ეს რისკი გაიზრდება, მაგრამ, ბუნებრივია, რომ არჩევნები მაინც უნდა ჩატარდეს. უარესი ავადმყოფობებიც არსებობს და უარესი შედეგებიც.

— თუმცა, რა სისტემით ჩატარდება, ამას ხომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს?

— სისტემის ცვლილებები განხორციელდება, საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება მოხდება. უბრალოდ, საუბარია იმაზე, ჩატარდება თუ არა ოქტომბრის ბოლოს არჩევნები, მაგრამ მე ასე მგონია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება მოხდა და მე ასე მგონია, რომ როდესაც ჩატარდება, ის ჩატარდება ახალი სისტემით 120/30-ზე.

— ასე გგონიათ, რომ საარჩევნო ცვლილებების გარეშე არ ჩაატარებენ?

— მე ასე მგონია, რომ ჩატარდება სისტემით 120/30-ზე, იმიტომ, რომ დასავლეთის მხრიდან ზეწოლა იქნება. უბრალოდ, დროის საქმეა. შეიძლება გაიწელოს პროცესი, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ არ გაიწელება კორონავირუსთან დაკავშირებული კრიზისი და არჩევნები დროულად ჩატარდება.

— დასავლეთის რეაქციასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ როგორ ქმედებებს ელოდებით? იქნება ის ბოლომდე გათვალისწინებული თუ მოსალოდნელია, რომ, რადგანაც კრიზისია აშშ-ში, კინზინგერის თუ სხვების განცხადებები ისევ უყურადღებოდ დატოვონ?

— არ არის გამორიცხული, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია. იმიტომ, რომ თავის დროზე, როდესაც არ იგრძნობოდა დასავლეთის მკვეთრი კრიტიკა, მხედველობაში მაქვს ის პერიოდი, როდესაც ხელისუფლებამ გასცა დაპირება, რომ პროპორციული სისტემით ჩაატარებდა არჩევნებს და დასავლეთში ბევრს სჯეროდა ეს, მაშინ „ოცნების“ მიმართ ზეწოლა არ იყო ძლიერი ფორმით, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს მოხდებოდა. ახლა ზეწოლა გაძლიერებულია და ყველა შემთხვევაში იძულებული იქნება, რომ არჩევნები მაინც ჩატარდეს 120/30-ზე.

— თუ, ვთქვათ, კრიზისი სხვა ქვეყნებშიც იქნება, რა გახდის მას იძულებულს?

— კი, იქნება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, რომ აღნიშნულ თემაზე დასავლეთი იმუშავებს. მე ასე მგონია, რომ საარჩევნო ცვლილებების საკითხზე დასავლეთი მაინც იქნება ჩართული. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით მაინც მგონია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები შევა ძალაში.

თავის დროზე ვიძახდი, მათ შორის თქვენთან ინტერვიუშიც მაქვს ნათქვამი, არსებობს იმის საფრთხე, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულოს დაპირებები-მეთქი და საბოლოოდ ასეც მოხდა მაშინ, მან დაპირებები ჩააგდო. მე ვვარაუდობდი, რომ ეს დაბრალდებოდა მაჟორიტარებს, რომლებმაც საბოლოოდ ასეც გააკეთეს და თქვეს, რომ ისინი იყვნენ წინააღმდეგები ამ ცვლილებების განხორციელების თაობაზე. დემოკრატიით შენიღბეს პროცესი და თქვეს, რომ ყველას აზრს პატივს სცემენ. მაგრამ მაშინ დასავლეთის ზეწოლა არ იყო ამ დოზით, როგორც ახლაა.

— დღესაც ხომ შეიძლება დააბრალონ გარემოებებს და თქვან, რომ ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არჩევნები და თან ჩათვალონ, რომ დასავლეთს ჩვენთვის იმდენად არ სცალია, რაც აქამდე იყო?

— კი, რა თქმა უნდა. ამის შესაძლებლობა არის, მაგრამ შედარებით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ასე მოხდეს. „ქართული ოცნებისგან“ ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ამის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს. შესაძლებლობა არის, როგორ არ არის, მაგრამ მე მაინც ასე მგონია, რომ ამ ეტაპზე ამის ნაკლები შესაძლებლობაა.

მაინც მგონია, რომ დასავლეთის ზეწოლა, კორონავირუსის მიუხედავად, თავის გავლენას მოახდენს. ყველა კორონავირუსზე ხომ არ მუშაობს?! არიან ადამიანები, რომლებიც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობენ და ისინი უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ თემას.

პაატა იმნაძე: „ბათუმში დაინფიცირებული ექთანი ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტს ემსახურებოდა“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, პაატა იმნაძის განცხადებით, ბათუმში კორონავირუსით ინფიცირებული ექთნის ყველა კონტაქტი იდენტიფიცირებულია.

როგორც იმნაძემ აღნიშნა, სამწუხაროდ, ექთანმა ვერ შეძლო, რომ ინფიცირებულ პაციენტთან უშუალო კონტაქტისგან აბსოლუტურად დაცული ყოფილიყო.

— ეს ჩემი კოლეგა არის გმირი, იმიტომ, რომ ის ემსახურებოდა პაციენტს, ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს, რომელთანაც ფიზიკური კონტაქტი იყო გაძნელებული. ამ ადამიანმა გააკეთა ყველაფერი, რომ ამ პაციენტისთვის მოევლო და, სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო, ბოლომდე დაცული ყოფილიყო უშუალო ფიზიკური კონტაქტისგან ამ პაციენტთან.

გამგები გაიგებს, იქ რა ხდებოდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მისი ყველა კონტაქტი მიკვლეულია და ყურადღების ქვეშაა, მაგრამ თვითონ ჩემი ეს კოლეგა გმირია, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

ლევან რატიანი: „უმძიმესი პაციენტი, რომელიც 97%-ში უნდა გარდაცვლილიყო, სრულად გამოჯანმრთელდა“

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელის ლევან რატიანის განცხადებით, პაციენტი, რომელიც მათ კლინიკაში ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კორონავირუსისგან განიკურნა და ის უკვე ბინაზე ეწერება.

რატიანმა ეს ქართული მედიცინის გამარჯვებად შეაფასა და კლინიკის ყველა თანამშრომელს თავდადებული შრომისთვის მადლობა გადაუხადა:

— ამ ეტაპზე კლინიკაში 83 პაციენტი წევს. აქედან 19 ინფიცირებულია, დანარჩენები იმყოფებიან სატესტო რეჟიმში. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მძიმე პაციენტი, რომელიც იწვა ჩვენს კლინიკაში, ეწერება ბინაზე. ქართული მედიცინის გამარჯვებად მინდა ჩავთვალო. ის კოვიდ 19-ის გარეშე, მე-14 დღეს მიდის ჩვენი კლინიკიდან.

ეს, რა თქმა უნდა, ამ კლინიკის მთელი მედპერსონალის დამსახურებაა. 97%-ში ეს პაციენტი უნდა დასრულებულიყო ლეტალობით, მაგრამ გადარჩა, — განაცხადა ლევან რატიანმა.

ნიკა გამყრელიძემ საავადმყოფო დატოვა

„ექიმებისგან არც დაღლა მიგრძნია და არც შიში“

„ევექსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ვაჟი ნიკოლოზ გამყრელიძე გამოჯანმრთელდა და ინფექციური საავადმყოფოდან გაეწერა.

ამის შესახებ ნიკოლოზ გამყრელიძემ ფეისბუქის პირად გვერდზე დაწერა:

„მეგობრებო, პაციენტი №10 გამოჯანმრთელდა და შესაბამისად 26-ე დღეს დავტოვე კლინიკა და გადავედი თვითიზოლაციაში. უღრმესი მადლობა ასეთი მხარდაჭერისთვის და გულშემატკივრობისთვის, ძალიან გამაძლიერეთ ამით!

არ შემიძლია ქედი არ მოვიხარო და, როგორც რიგითმა მოქალაქემ, უდიდესი მადლიერება არ გამოვხატო სამედიცინო პერსონალის წინაშე, ვინც გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ ომში იბრძვის წინა ხაზზე ჩვენი, ყველას ჯანმრთელობისთვის.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 26 დღის განმავლობაში არც ერთხელ არ მიგრძნია მათგან არც დაღლა, არც შიში, მხოლოდ სითბო, მხარდაჭერა და ძალიან დიდი შემართება იყო სულ. აქამდეც ჩემი პატივისცემა მათ მიმართ ისედაც ძალიან დიდი იყო, მაგრამ ეხლა კიდევ სხვანაირად დავინახე, როგორც პაციენტმა! მადლობა თქვენ, ნამდვილად საამაყო ხართ და გამძლეობას გისურვებთ!

ჩვენ კი, როგორც მოქალაქეებმა, ჩვენი ვალდებულება აუცილებლად უნდა შევასრულოთ, ვალდებულება კი არის, რომ გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რომ გამოუსწორებელი ზიანი არ მივაყენოთ ჩვენ ირგვლივ მყოფებს, დავრჩეთ აუცილებლად სახლში. მხოლოდ ამ გზით დავამარცხებთ ყველა ერთად ამ გამოწვევას.

ვულოცავ ყველა გამოჯანმრთელებულს და სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ ყველა ინფიცირებულს!“

ნიკოლოზ გამყრელიძეს კორონა ვირუსი 6 მარტს დაუდასტურდა, იქამდე „ის რამდენიმე დღის განმავლობაში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა, რადგან „გეფას“ დირექტორთან ჰქონდა კომუნიკაცია, რომელიც ასევე ინფიცირებული იყო.

იერუსალიმში წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაულზე ტაძარში 10-15 ადამიანი იქნება

ისრაელში წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაულის დროს ტაძარში 10-15 ადამიანი იქნება, რომლებიც აღმოსავლეთ მართლმადიდებლურ ეკლესიებს წარმოადგენენ.

ამასთან, ცეცხლის წაღება სხვადასხვა ქვეყნებში სპეციალურად დანიშნული ფრენებით მოხდება, რომლებიც ასევე რეგულაციებში მოექცევა. კერძოდ, თვითმფრინავის ბორტზე მყოფ პირებს ხომალდიდან გადმოსვლის უფლება არ ექნებათ და მათ ცეცხლს ბორტზე მიაწვდიან.

სპეციალური რეისები უკვე დანიშნულია რუსეთიდან, საბერძნეთიდან და უკრაინიდან.

წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის რიტუალი პირდაპირი ეთერით გადაიცემა.
მართლმადიდებელი სამყარო აღდგომას წელს 19 აპრილს აღნიშნავს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„იმედი მაქვს, რომ საპატრიარქო შექმნილი ვითარების ადეკვატურად მოიქცევა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „1.000 ლარი ყველა ოჯახზე უნდა გაიცეს, ვისაც 40 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი აქვს“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ გიორგი გახარიას მიერ გახმოვანებულ სოციალური მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ლაშა, როგორ აფასებთ მთავრობის სოციალური მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს?

– ჩვენ ვითხოვდით კომუნალური ვაუჩერების გაცემას მოსახლეობისთვის და ფულად კომპენსაციას. კარგია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიძრა ყინული. ჩვენ ოჯახზე ათასლარიან დახმარებას ვითხოვთ. ამ მიმართულებით ბრძოლა მოგვიწევს. რაც შეეხება კომუნალურ ვაუჩერებს, ისინი კარგია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. განსაკუთრებით დენის ნაწილში. ვისაც გაზი არ აქვს და ასეთი ბევრი ოჯახია, ის დენით თბება. ამიტომ, ვითხოვთ ამ მიმართულებით პოზიციის გადახედვას. დენის ნაწილში გაზრდა უნდა მოხდეს.

რაც შეეხება ფულად კომპენსაციას, აუცილებელად უნდა გაიცეს.

– ვისზე?

– 1.000 ლარი ყველა ოჯახზე უნდა გაიცეს, ვისაც 40 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი აქვს. ხელისუფლებას შეუძლია ამ თანხის გამოთავისუფლება. არსებული რეალობიდან გამომდინარე საკამათო პროექტები უნდა გაუქმდეს და ეს ფული ხალხს უნდა მოხმარდეს.

თუ ეს არ მოხდება, მაშინ ერთდროულად მოხდება ქვეყანაში სოციალური და ეპიდემიური აფეთქება. ადამიანები შიმშილის ზღვარზე არიან და მათ მხოლოდ ვაუჩერები ვერ უშველით, თუმცა ეს, რასაკვირველია, წინგადადგმული სწორი ნაბიჯია. ბიუჯეტში ფული არის და ეს ფული პირველ რიგში ადამიანებს უნდა მოხმარდეს და არა – იმ საკამათო პროექტებს, რომელთა მიმართაც უამრავი კითხვა ისმის.

ადამიანები არ უნდა დარჩნენ არჩევანის წინაშე – ინფიცირება თუ შიმშილი! ამიტომ არის საჭირო ფულადი კომპენსაციების დროულად გაცემა.

– შს მინისტრი გომელაური აცხადებს, რომ საპატრიარქოსთან კოორდინაციით დაიგეგმება აღდგომის დღესასწაული. რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, თქვენ რას ურჩევდით?

– სანამ ეპიდემიური ვითარება არ გამოსწორდება, ყველა სახის შეკრება უნდა იყოს თავიდან აცილებული. ეს ეხება რელიგიურ რიტუალებსაც. ასევე, როგორც ეპიდემიოლოგები აცხადებენ, ერთი კოვზით ზიარება სახიფათოა ვირუსის გავრცელების კუთხით. თეოლოგი არ ვარ, მაგრამ აქ მთავარი კოვზის იდეა კი არ არის, მთავარი ღვინო და პურია ანუ ქრისტეს სისხლი და ხორცი. ამიტომ, უკიდურესად სახიფათო მგონია ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით ეს ყველაფერი.

ხელისუფლებას კი ვურჩევდი, კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე! არ შეიძლება ვხედავდეთ ერთი მხრივ, როგორ აკავებენ, მაგალითად, გოგი წულაიას მხოლოდ იმისთვის, რომ ბრიფინგი ჩაატარა, რომლითაც სავალუტო ჯიხურების დახურვა გააპროტესტა და მეორე მხრივ, კანონით აკრძალული იყოს სამ ადამიანზე მეტის შეკრება და ათობით ადამიანი იყრიდეს თავს ერთ სივრცეში.

ეს არის ორმაგი სტანდარტი, სხვა კი არაფერი. ბრიფინგების აკრძალვამდეც მივიდა ხელისუფლება. თუ ორმეტრიანი დისტანცია იქნება დაცული, მაშინ საპროტესტო აქციაც იყოს დაშვებული.

– საგანგებო მდგომარეობის დროს პროტესტის უფლება აკრძალულია. ასეთია განმარტება.

– ეს დათქმაა, ასე ჩაწერეს დადგენილებაში. ეს ძალიან ცუდ ეჭვებს ბადებს, მით უმეტეს, გოგი წულაიას დაკავების შემთხვევაში. ვეჭვობ, ეს არ იქნება ბოლო. შეიძლება მეც აღმოვჩნდე ანალოგიურ ვითარებაში.

ბრიფინგის აკრძალვას მე ნამდვილად არ ვაპირებ შევეგუო. მაშინ, გამოდის, რომ სიტყვის თავისუფლება იზღუდება. არადა გვითხრეს, სიტყვის თავისუფლებას არანაირი შეზღუდვა არ ეხება. შემოვლითი გზით, როგორც ჩანს, ამას გვიკრძალავენ.

რასაკვირველია, სოლიდარულები უნდა ვიყოთ იმ ადამიანების მიმართ, ვინც რეალურად ეპიდემიას ებრძვის, პირველ რიგში ექიმებს, პროფესიონალებს ვგულისხმობ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გადამეტებული უფლებები მივცეთ ან პრემიერს, ან მთავრობის რომელიმე წევრს.

ამის ნიშნები გამოჩნდა, როდესაც პრემიერი გახარია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარს ამბობდა. გეგონება, თუ ტესტებზე ინფორმაციას დამალავს, ტესტების რაოდენობა გაიზრდება ან, პირიქით, დაიკლებს ქვეყანაში.

რაც მეტი კრიტიკა იქნება კანონისა და ლოგიკის ფარგლებში, მით უფრო იძულებული იქნება მთავრობა, ფორმაში იყოს, იყოს უფრო მობილიზებული და უფრო მეტი აკეთოს. არ მოდუნდეს. ვერ ხვდებიან, რომ ჯანსაღი კრიტიკა პირიქით, საშური საქმეც კი არის. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ჩვენ ხელიდან მთავრობა, ხელისუფლება გამოგვეცალოს, რომელიც ხალხს ემსახურება და მივიღოთ ავტორიტარიზმი.

აქვე არ შემიძლია არ ვიკითხო: რას ემსახურება ღამის კომენდანტის საათი?! თუ დღეს არ ეხება შეზღუდვა, ღამეს რატომ ეხება?! მე იმედი მაქვს, რომ საპატრიარქო შექმნილი ვითარების უფრო ადეკვატური გახდება და მთავრობას არ მოუწევს ასეთი შემოვლითი გზებით სიარული.

„არჩევნების გადადება ახლა ოპოზიციას აწყობს“

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, პრემიერის განცხადებას, რომელიც მოსახლეობისთვის კომუნალურ გადასახადებზე შეღავათს ეხება, საზოგადოების მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. საზოგადოების დიდი ნაწილი საუბრობს, რომ არასამართლიან პირობებში იქნა ჩაყენებული მოსახლეობა. რას იტყვით თქვენ?

– როდესაც ამ განცხადებას მოვუსმინე, კითხვა დამებადა, ნეტა თუ სწორად გავიგე-მეთქი. სერიოზულად დავეჭვდი, ასეთ სისულელეს როგორ იტყოდნენ-მეთქი. როგორც მე მივხვდი, ვინც მხოლოდ 200 კილოვატ ენერგიას წვავს და ვინც 200 კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს, მხოლოდ მათ ეხება ეს შეღავათები და მე თუ 250 კილოვატს მოვიხმარ, ეს არ მეხება?!

– დიახ ასეა.

– ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მოსახლეობას ხელისუფლება დისკრიმინაციულად ექცევა და პირდაპირ მიუთითებს იმისკენ, რომ ასეთ კრიზისულ მომენტებში შეიქმნეს დემოგრაფიული პრობლემა. სამი ადამიანი რომ ცხოვრობს ოჯახში, ის უფრო ნაკლებს მოიხმარს ელექტროენერგიასაც და ბუნებრივ აირსაც. ნაკლებჯერ ბანაობს, უფრო ნაკლებჯერ ადგამს ქურაზე ჩაიდანს, ვიდრე მრავალსულიანი ოჯახები.

არსებობენ სოციალურად დაუცველები, ვისაც ისედაც აქვთ შეღავათები სახელმწიფოსგან. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ახლა ხდებიან სოციალურად დაუცველები, ამ ორი თვის განმავლობაში. ჩემს ოჯახში ორი პენსიონერი ცხოვრობს, ორი არასრულწლოვანი, მეუღლემ ამ სიტუაციის გამო სამსახური დაკარგა და რეალურად მარტო მე დამრჩა შემოსავალი. ჩვენც სოციალურად დაუცველების კატეგორიაში გადავდივართ და რა გამოდის, რომ ამ თვეების განმავლობაში, ჩვენ სახელმწიფო 30 ლარსაც კი არ გვჩუქნის სულზე?!

– ანუ ეს შეღავათები დიდ ოჯახებზე არ არის გათვლილი?

– ასე გამოდის. დღეს, მე სახელმწიფო მეუბნება, რომ ორი შვილის ნაცვლად უნდა გყავდეს ერთი, პენსიონერი მშობლები არ უნდა ცხოვრობდნენ შენთან და მაშინ ჩაჯდებოდით ამ სტანდარტებშიო. სწორი და სამართლიანი იცით, რა იქნებოდა?!

– რა?

– დავუშვათ მოვიხმარ 400 კილოვატს? ის 200 ჩამოეჭრა სახელმწიფოს, გაეკეთებინა ეს შეღავათი და დარჩენილს მე გადავიხდიდი.

– ანუ ყველასთვის თანაბრად უნდა ჩამოეჭრათ ის 200 კილოვატი?

– დიახ და ეს იქნებოდა სამართლიანი და ეს იქნებოდა არადისკრიმინაციული გადაწყვეტილება.

– უმადურები ხართ, ვინც ამის გამო ხელისუფლებას აკრიტიკებთო, უკვე მოვისმინე ასეთი შეფასებებიც.

– უმადურები და დეგენერატებიც არიან თვითონ! თვითონ აქვთ იმხელა შემოსავალი, რომ სულ ერთ ადგილას ჰკიდიათ, ეს შეღავათი იქნება თუ არა დაწესებული. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრია ისეთი ოჯახი, ვინც კვირიდან კვირამდე თითო ლარს ითვლის და ეს სწორედ ამ ხელისუფლების დამსახურებაა. ხელისუფლებას არ შეუქმნია სამუშაო ადგილები, რომ ხალხი დასაქმებულიყო.

მაპატიეთ, ამ ჟარგონისთვის, მაგრამ იცით რა გამოდის, რომ „მაზოლზე“ წიხლს გვაჭერენ. იმ მტკივნეულ ადგილას გვირტყამენ, სადაც ყველაზე მეტად გვტკივა. არ ჭამოთ, არ იბანაოთ, არ გათბეთ და მოკვდით და ჩაძაღლდით ცოცხლადო.

სააკაშვილი იცით, როგორ იქცეოდა? სულზე აკეთებდა 20-ლარიან ვაუჩერს. ამათ კი რა ქნეს, რა არის, ეს რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ?! მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ეს დაიხვეწება და ცოტა აზრზე მოვლენ.

უკვე ისე არიან დაღორებულები, რომ ვერ საზღვრავენ იმას, ვის უჭირს და ვის არ უჭირს. ეს ყველაფერი შეუტრიალდებათ მათ!

– აცხადებთ, მათვე შეუტრიალდებათო, თუმცა საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლება ამ ნაბიჯებით ქულებს იწერს წინასაარჩევნოდ.

– შეიძლება ჯანდაცვის მხრივ რაღაც გაფართხალდნენ, თუმცა ჯანდაცვაშიც სერიოზული გარღვევები აქვთ, როგორც მე ვხედავ. თუნდაც იგივე ტესტებთან დაკავშირებით. ჩვენმა ხელისუფლებამ მოსახლეობა მიაგდო ბედის ანაბარა. თან ეუბნება, ახლა როგორც გინდათ, ისე გამოძვერით ამ სიტუაციიდან და რომ გამოძვრებით, მერე ისევ ჩვენ დაგვიჭირეთ მხარიო. ვერ მივართვით! აი, ასე ვეტყვი.

– ტესტებზე დიდი ამბავი იყო ატეხილი გასულ კვირას. თქვენ რა გარღვევებზე საუბრობთ?

– ამ დღეებში მე გადავიტანე სეზონური ვირუსი. მქონდა 38-მდე სიცხე და გამიჩნდა იმის შეგრძნება, კორონავირუსი ხომ არ ავიკიდე-მეთქი. ჩემს ოჯახში არიან უფროსი თაობის წარმომადგენლები და მათ გამო უფრო შემეშინდა. დავრეკე 115-ში, 115-მა გადამამისამართა ოჯახის ექიმთან. ოჯახის ექიმმა მითხრა, რომ იცი რა, ერთი კვირა შენ კარანტინში ჩაჯექი, ვეუბნები, რომ ერთი კვირაა, ისედაც ვზივარ ამ კარანტინში, მაგრამ ეს გაუგებარია მათთვის. დაწერილი ტექსტი აქვთ და რაც უწერიათ ფურცელზე, იმას კითხულობენ ყველა პაციენტის მიმართულებით. ე.ი. შეხება თუ არ გქონდა და მოგზაურობის ისტორია, მაშინ მე არ მეკუთვნის ლუგარში ტესტის ჩაბარება.

– ახლა უკვე შიდა გავრცელებაა დაწყებული და...

– მეც სწორედ მანდ ვარ. თან იმას გვეუბნებიან, რომ შიდა გავრცელებაა და თან მოგზაურობის ისტორია თუ არ გაქვს, სახლში ჩაჯექიო. ეს რა მიდგომებია. მე არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერი ვარ, არა, ბატონებო, არ ვარ, არც არასდროს ვყოფილვარ და ღმერთმა დამიფაროს. მარტო ნაცმოძრაობამ კი არ გაავრცელა ეს ინფორმაცია სწრაფ ტესტებთან დაკავშირებით. ეს ხალხმა თქვა და მოითხოვა. ვინც აზროვნებს, ყველამ თქვა. გერმანია ამით გადარჩა, იმით, რომ სწრაფი ტესტები დაუშვა თავიდანვე. იანვრის ბოლოდანვე დაუშვა სწრაფი ტესტები. სწორედ ამიტომ არის, რომ ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს სიკვდილიანობის.

ხელისუფლება რომ ბლოკავს უკვე თვეზე მეტია ამ სწრაფ ტესტებს, მიჩნდება ეჭვი იმისა, რომ შეგნებულად ბლოკავს.

– ეს რაში სჭირდებათ?

– პირველი, არ უნდა იმიტომ, რომ გაჟღერდეს, საქართველოს რეალურად რომ მოედო ეს პანდემია, ამის დამალვას ცდილობენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ძალიან ბევრმა გადაიტანა მსუბუქ ფორმაში და ამას არც მიაქცია ყურადღება. მხოლოდ ერთეულებს გაურთულდათ და ის ერთეულები აღმოჩნდნენ საავადმყოფოში. არ უნდათ ამის გამჟღავნება.

– რატომ არ უნდათ?

– იმიტომ, რომ არა აქვთ შესაბამისი ჯანდაცვა, რომ ამ ხალხს შესაბამისი დახმარება აღმოუჩინონ.

სწორედ აქ დაინახეს საფრთხე, მე რომ აქ 2 ათასი კაცი მომასკდეს, მედპერსონალი არ მყავს და როგორ მოვუარო მათ. ამიტომაც აკრძალეს ეს სწრაფი ტესტები და მკურნალობენ მხოლოდ მძიმე პაციენტებს.

გააჩერეს ყველაფერი, გაჩერდა სახელმწიფო, მაგრამ მერე რას შვრებიან? მერე სად დაემალებიან ამდენ გაღარიბებულ და გაჭირვებულ ადამიანს. ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ უნდათ?!

– ამ ფონზე გამუდმებით ისმის კითხვა, სად არის ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ ჩანს?

– მე არ მესმის ამ ხალხის, ვინც ბიძინა ივანიშვილს კითხულობს. რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი?! ბიძინა ივანიშვილი გამოვა ტელევიზიით თუ არა, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ივანიშვილი არც ჩვენი სულიერი მამაა და არც – დაქირავებული მოხელე.

– ხალხი მას აღიქვამს რეალურ მმართველად.

– ბიძინა ივანიშვილი არის მმართველი პარტიის თავმჯდომარე. მისი პასუხისმგებლობა, რაც ხალხის წინაშე აქვს აღებული, გამოიხატება იმ მთავრობაში, რომელიც დღეს არის.

მის გამოსვლას აჯობებს, პატრიარქი გამოვიდეს ხოლმე ხშირად, ამას უფრო დიდი დატვირთვა აქვს ჩემთვის. რისთვის გვინდა ბიძინას გამოჩენა, ფული რომ გვაჩუქოს?! გამოჩენის გარეშეც შეუძლია ეს.

– არჩევნებს ძველი სისტემით ჩაატარებენ თუ გადაწევენ თარიღს?

– ბიძინა ივანიშვილმა ძალიან კარგად იცოდა უკვე იანვრის თვეში, რომ ეს ვირუსი ჩვენც შემოგვიტევდა და ეს კრიზისი ჩვენთანაც დადგებოდა. მან ყველაფერი გათვალა და სწორედ ამიტომაც დაიწყო დათმობა.

იანვრამდე „ოცნების“ განცხადებები იყო ძალიან ხისტი და იანვრის ბოლოდან კი ეს მიდგომა შეიცვალა და წავიდნენ დათმობაზე. ზოგმა ეს ამერიკის სენატორებს დააბრალა, ხომ გავიგეთ, რაც ყოფილა რეალური მიზეზი?! ივანიშვილმა იანვრის ბოლოდან უკვე იცოდა, რომ ეს კორონავირუსი თავის ეფექტს გამოიღებდა მსოფლიო დონეზე და ამიტომაც წავიდა ამ დათმობებზე. კიდევ ერთი ტრიუკი ჩაუტარა ოპოზიციას.

რა არჩევნები უნდა ჩატარდეს, სრულიად არათანაბარი პირობებია. ფული მხოლოდ „ოცნებას“ აქვს და ბოლო ერთი თვეა და ალბათ ასე იქნება რამდენიმე თვე, მხოლოდ ხელისუფლება ჩანს ტელეეკრანებზე. არჩევნებსაც ის იგებს, ვინც ხშირად ჩანს და ვისაც ბევრი ფული აქვს.

ასე რომ, არჩევნების გადადება ოპოზიციას ნამდვილად უნდა აწყობდეს. რომელი ჭკუათმყოფელი პარტია წაყვება ამ პირობებში არჩევნებზე. პირველ რიგში ოპოზიცია უნდა იყოს წელს არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი. თუ ტვინი შერჩა.

ამ მომენტისთვის ხელისუფლება ოპოზიციას მაგრად უგებს. ამიტომ ძველი სისტემით იქნება თუ ახალი სისტემით, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ოპოზიცია მაინც წააგებს.

ვახტანგ მაისაია: „კორონავირუსი ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ თავდაცვის მინისტრს მიმართეთ, რომ შექმნას სპეციალური საჯარისო ფორმირება, რომელიც ბაქტერიოლოგიური საფრთხეების საჭიროებებს მოემსახურება.

– არა მარტო. მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის თემაც არის. ეს იქნება სპეციალური დანიშნულების ჯარის სახეობა. ასეთი ფორმირება არსებობდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ დრომ მოიტანა, გაფართოვდეს.

– ამის საჭიროება კორონავირუსმა დაგანახათ თუ, ზოგადად, საჭიროა?

– ზოგადადაც საჭიროა. მით უმეტეს, კორონავირუსმაც დამანახა. ეს არის ასიმეტრიული ომი, ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მთავრობას, განსაკუთრებით შს სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს.

– რისთვის?

– მიუხედავად იმისა, რომ ისინი მათმა მოქმედებამ აჩვენა, რომ სისტემა არის კარგი. ამ სამინისტროების ეფექტურმა და გმირულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. საქართველო არის წარმატებული ქვეყანა, რომელმაც მეტ-ნაკლებად გაართვა თავი საშინელი სენის დაძლევას. ალბათ, დრო გავა და რიგი სახელმწიფოების სამხედრო აკადემიებში ეს გამოცდილება შეისწავლება.

– დღეს ქვეყანას იმის შესაძლებლობა აქვს, რომ დამატებით ჯარის სახეობა შექმნას.

– დიახ და ამგვარი ჯარის სახეობის შექმნა აუცილებელია. საქართველო ნატოს სტანდარტების შესრულების კუთხით მოწინავე ქვეყანაა. ჩვენ თავდაცვისთვის გამოყოფილი გვაქვს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%^-ზე მეტი, გვაქვს ეკონომიკური სირთულეები, ამის მიუხედავად, ჩვენ ვასრულებთ ნატოს სტანდარტების მოთხოვნებს.

– მარნეულსა და ბოლნისში კარანტინის პირობებში საგანგებო მდგომარეობის გაკონტროლებაში მონაწილე სამხედროები აცხადებენ, რომ მათ გავლილი აქვთ ნატოს წვრთნები ამ მიმართულებით, ანუ ასეთი ჯგუფი არსებობს.

– საქართველოს სამხედროებმა გამოცდილება მიიღეს ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისების მართვის ოპერაციებში, სადაც ასეთი ტიპის სცენარების გათვლა ხდება და ჩვენი სამხედროები გადიან სპეციალურ სამხედრო მომზადებას გერმანიისა და ნატოს სხვა სახელმწიფოების სპეციალურ ბაზებზე.

აფრიკაში, ავღანეთში, კოსოვოსა და სხვა მისიებში მიღებული გამოცდილება იმის საშუალებას იძლევა, რომ ახლა ჩვენს პირობებში დავალებები წარმატებით შეასრულონ. მათმა გამოცდილებამ თავისი ეფექტურობა შეიძინა. თუ გამოცდილება არ ექნებოდათ, თავდაცვის ხელმძღვანელობა არ მიიღებდა არმიის ჩართვის გადაწყვეტილებას.

მათ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება. დრომ აჩვენა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ამ ვითარებაში შეიარაღებული თავდაცვის ძალებმა უზრუნველყვეს სტაბილურობის განცდა.

– გარკვეულ ოპოზიციურ წრეებში მაინც არის უკმაყოფილება. ზოგი ამბობს, რომ მონაცემები იმალება.

– ეს არის დესტრუქციული ოპოზიცია. ახლა ეს ოპოზიცია ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, ჩვენ დღეს კატასტროფა გვექნებოდა.

– რატომ, თავს ვერ გაართმევდნენ?

– ნამდვილად თავს ვერ გაართმევდნენ.

– თუ ოპოზიციად მიგვაჩნია, თუ ის მეორე ძალაა, ვალდებული არ არის, ხელისუფლებას რაღაც შესთავაზოს?

– სთავაზობენ, მაგრამ ეს არის პოპულიზმი. ჩვენ გვინახავს, ოპოზიცია მეხუთე კოლონის როლს რომ ასრულებდა. მხოლოდ სააკაშვილის მაგალითი კმარა, რომელიც დღეს უკრანაში მე-5 კოლონის როლს ასრულებს. პრეზიდენტს უნიათოს უწოდებს.

– თითქოს ცსკოს საიტებზე კიბერშეტევა მოხდა, იქიდან წაიღეს ამომრჩეველთა სიები და 5 მილიონი ადამიანის პირადი მონაცემები ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა. ცესკო აცხადებს, რომ მათ ასეთი მონაცემები არ ჰქონდათ.

– ეს არის იმის მაგალითი, რაც ვილაპარაკე ამ ოპოზიციაზე. მიხეილ სააკაშვილი თურმე დღეს პირდაპირ ამბობს, რომ რუსეთი წარმატებით ებრძვის კორონავირუსს, პუტინის რეჟიმი წარმატებით ასრულებს თავის ვალდებულებას, უფრო ეფექტურია, ვიდრე უკრაინის ხელისუფლება.

მეორე მომენტია, სიების გამოქვეყნება არის საინფორმაციო ომისა და პროვოკაციისთვის. ფსიქოლოგიურ ომზეა გათვლილი. ჰაკერულ შეტევასა და სიების გამოქვეყნებაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება. ეჭვი არ მეპარება, რომ გამოძიება გავა იმ პირებზე, რომლებიც დესტრუქციულ ქმედებებს ახორციელებენ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ოკუპირებულ აფხაზეთში საკარანტინე ზონები მოეწყო

გალელი ქალი, რომელსაც კორონავირუსი დაუდგინდა, რუსეთიდან ჩამოვიდა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში, სადაც „კოვიდ 19-ის“ ინფექციას მარტის ბოლომდე სერიოზულად არ ეკიდებოდნენ, დღეს უკვე საკარანტინე ზონები მოეწყო. ხალხიც შეშინდა, ვინაიდან კორონავირუსით ინფიცირება აფხაზეთშიც გამოვლინდა. ვირუსთან ბრძოლის შტაბი უარყოფს ინფორმაციას სასურსათო მაღაზიების მოსალოდნელი დახურვის შესახებ.

ერთი საკარანტინე სივრცე გალის რაიონში კულტურის სახლის შენობაში გამოიყო. ასეთივე სივრცეები გარედან ჩამოსული ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეიქმნა სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთასა და გაგრაში.

ინფიცირებული გალელი ნინო ხეცურიანი ზუგდიდში მკურნალობს. საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, რუხის სამედიცინო ცენტრში საოკუპაციო ზონის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანები მიიღოს.

ოკუპირებილ აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობა 28 მარტიდან გამოცხადდა. ამ დროიდან აიკრძალა რესპუბლიკაში იმ პირების შესვლა, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეები არ არიან. ნინო ხეცურიანი აფხაზეთში რუსეთიდან 29 მარტს ჩამოვიდა. იგი მოსკოვში იმყოფებოდა, შემდეგ სოჭიდან ფსოუს გავლით გამოემგზავრა გალის რაიონის სოფელ საბერიოში.

მისი კონტაქტები შესწავლილია. მოხდა იმ ადგილების დეზინფიცირება, სადაც დაინფიცირებულმა გაიარა.

მაშინვე, როცა გალელ პაციენტს დიაგნოზი ზუგდიდში დაუდგინეს, შეწყდა ყველანაირი შიდა მიმოსვლა გალის რაიონთან, გალსა და ოჩამჩირეს შორის კი მილიციის კორდონი აღმართეს.

აფხაზეთში ამბობენ, რომ გალის რაიონის სოფელი საბერიო რისკის ჯგუფს ისედაც მიეკუთვნება იმის გამო, რომ იქ გადის ქართული მხარიდან გამომავალი ენგურჰესის სადერივაციო გვირაბი. საბერიოში განლაგებულია ჰიდროაგრეგატები. სოფლის მცხობრებლების უმრავლესობა ენგურჰესზე (აფხაზურ ნაწილში) მუშაობს.

ამ შემთხვევის შემდეგ აფხაზეთში გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა. მოსახლეობის დაცვის ოპერატიული შტაბის ინფორმაციით, ბევრი ადამიანი სხვადასხვა სიმპტომით მოითხოვს ტესტირებას. მათ ტესტებით ამოწმებენ. ჯერჯერობით დადებითი პასუხები არ იკვეთება.

ხალხი პოზიტიურად შეხვდა საავთიაქო ქსელი „მკურნალის“ მიერ სადეზინფექციო საშუალებების უფასოდ დარიგებას.

მოსახლეობა ამას ქველმოქმედებად აფასებს და მადლიერია. ცოტა ხნის წინ, საქართველოს ხელისუფლების თხოვნით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველოს ამ ოკუპირებულ ტერიტორიას სადეზინფექციო, სანიტარული საშუალებები, მედიკამენტები და დამცავი ატრიბუტები გადასცა. წესით, ისინი მოსახლეობისათვის ისედაც უნდა დაერიგებინათ.

– ნიღბები დაგვირიგეთ! სოხუმში არ კერავენ?! – მოითხოვენ მოქალაქეები.

როგორც ჩანს, აფხაზეთში პირბადეების დეფიციტია.

ბანკების ვალები იქაურებსაც დაუგროვდათ. იმის გამო, რომ 28 მარტიდან თითქმის ყველაფერი გაჩერდა, ეკონომიკური პრობლემები გაჩნდა.

არჩეულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა, ასლან ბჟანიამ მიმართა „პრეზიდენტის“ მოვალეობის შემსრულებელ ვალერი ბგანბას, განიხილოს აფხაზეთის „სბერბანკიდან“ აღებული კრედიტების გასტუმრების გადავადება. ბჟანიამ ამავე კრედიტების დაფარვის ვადის გაგრძელების თხოვნით აფხაზეთის კომერციულ ბანკებსაც მიმართა.

ნინო ხეცურიანის მაგალითმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უუფლებობა და ის ფაქტი, რომ ხაჯიმბას დროს ქართველები ფაქტობრივად უსაბუთოდ დატოვეს.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ხეცურიანი აფხაზეთის მოქალაქე არ არის. მისი ინფორმაციით, 2013 წელს მან მიიღო 2006 წლის ნიმუშის აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი.

უწყების მონაცემებით, ნინო ხეცურიანს დაწერილი აქვს განაცხადი ბინადრობის დროებით მოწმობაზე.

ნინო ხეცურიანს თებერვლიდან მაისის ჩათვლით გაუგრძელეს „საზღვარგარეთის“ პასპორტი. ამისათვის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა მისმა ნათესავმა, რომელსაც ხეცურიანი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ექიმებთან უნდა გაჰყოლოდა.

პრესის ჯიხურებს საგანგებო მდგომარეობის დროს საქმიანობა არ ეზღუდება

საქართველოს მთავრობამ იმ კომპანიების სია დაამტკიცა, რომელთაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში საქმიანობა არ ეზღუდებათ.

სრულად საგამონაკლისო წესით განსაზღვრული საქმიანობების ჩამონათვალი, ანუ სფეროების სია, რომლებზეც არ ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა, ასეთია:

1. საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა:

ა) სამედიცინო დაწესებულების საქმიანობისა;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაციისა, ასევე მათი წარმოების, შენახვის, საბითუმო ვაჭრობისა და დისტრიბუციის, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოებისა;

გ) წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხობების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობისა;

დ) ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოებისა/გადაცემისა/განაწილებისა/მიწოდებისა, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდებისა, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებისა;

ე) კომერციული ბანკების საქმიანობისა;

ვ) იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობისა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით;

ზ) საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობისა;

თ) ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობისა;

ი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისა;

კ) საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებისა/რეალიზაციისა;

ლ) სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებისა/დისტრიბუციისა/რეალიზაციისა;

მ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

ნ) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებისა;

ო) საკვები პროდუქტის მიტანის მომსახურებისა (ე.წ. „დელივერი სერვისი“);

პ) კერძო დაცვითი საქმიანობისა;

ჟ) საადვოკატო საქმიანობისა;

რ) ავტოტექმომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობისა;

ს) პრესის ჯიხურებისა.

მამუკა მდინარაძე: „ეკლესია ყველა რეკომენდაციას გაგებით უნდა შეხვდეს“

ეკლესიასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში რეკომენდაციები ზედმიწევნით სრულდება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ხელისუფლების მიერ გაცემული შეზღუდვებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ეკლესიაც და საზოგადოების მთელი სპექტრიც ყველა რეკომენდაციას გაგებით უნდა შეხვდეს.

– ვხედავთ, რა მოცემულობა გვაქვს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. არის დარღვევების ინდივიდუალური შემთხვევები, სუპერმარკეტებში იქნება, ეკლესიის მიმდებარედ თუ სხვაგან. თუმცა ეკლესიასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში ზედმიწევნით სრულდება რეკომენდაციები. ნახეთ, ალბათ, ფოტოებიც და ვიდეოებიც, როგორ იცავს მრევლი დისტანციას, რისთვისაც მხოლოდ და მხოლოდ მადლობა უნდა გადავუხადოთ.

ვფიქრობ, როგორც ეკლესია, ასევე საზოგადოების მთელი სპექტრი ყველა რეკომენდაციას უნდა შეხვდეს გაგებით და ყველა რეკომენდაცია უნდა შეასრულოს იმისათვის, რომ საერთო ინტერესზე ვილაპარაკოთ. რისკები რაც შეიძლება მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, – განაცხადა მდინარაძემ.

აშშ-ის საელჩო: „ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები გარანტირებული უნდა იყოს“

– მოხარული ვართ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს საარჩევნო რეფორმის კანონმდებლობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებს მართავს.

ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადებაში, რომელიც საელჩოს ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა, დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის მიმდინარე ონლაინდისკუსიას ეხმაურება.

– მოხარული ვართ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს საარჩევნო რეფორმის კანონმდებლობასთან დაკავშირებით შეხვედრებს მართავს დაინტერესებულ მხარეებთან. მოვუწოდებთ პარლამენტს, სრულად გაითვალისწინოს ეუთოსა და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები საარჩევნო რეფორმის კანონმდებლობაში, რათა ოქტომბერში გარანტირებული იყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, – ნათქვამია განცხადებაში.

მამაკაცს 16 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან სექსის გამო 8 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებასა და გარყვნილ ქმედებაში ბრალდებული მამაკაცი დამნაშავედ ცნო და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მამაკაცმა 15 წლის გოგონასთან რამდენჯერმე დაამყარა სქესობრივი კავშირი და გარყვნილი ქმედება განახორციელა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებასა და გარყვნილ ქმედებაში ბრალდებული ო.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ო.ა.-მ 2018 წლის მაისიდან 8 ნოემბრის ჩათვლით წინასწარი შეცნობით 15 წლის გოგონასთან რამდენჯერმე დაამყარა სქესობრივი კავშირი და გარყვნილი ქმედება განახორციელა.

სამართალდამცველებმა ო.ა. სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2019 წლის 21 ივლისს თბილისში დააკავეს. მას 5 ეპიზოდზე ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით (თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარება, ხოლო 2 ეპიზოდზე 141-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარყვნილი ქმედება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

არასრულწლოვანი დაზარალებულის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ო.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 5 წელი და 4 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი და 8 თვე ჩაეთვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით.

ვახტანგ გომელაურმა შიდა ქართლში მდებარე საგუშაგოები მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შიდა ქართლში ჩავიდა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საგუშაგოები მოინახულა.

მინისტრი საგუშაგოებზე მყოფ თანამშრომლებს გაესაუბრა და მათგან საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. ვახტანგ გომელაური ადგილზე კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებსაც გაეცნო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ასევე, დაათვალიერა ქალაქ გორის შესასვლელში მოწყობილი საკონტროლო გამშვები პუნქტები. ვახტანგ გომელაური საგუშაგოებზე მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს გაესაუბრა, გამშვებ პუნქტებში არსებული ვითარების და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული შეზღუდვების შესრულების შესახებ ინფორმაცია მიიღო.

მინისტრი მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგის პროცესსაც დაესწრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად, საგუშაგოებს 24 საათის განმავლობაში მკაცრად აკონტროლებენ.

– საოკუპაციო ხაზზე ვიყავით, ჩამოვედით ცხინვალის მიმართულებებით, აქაც სიმშვიდეა და სიწყნარეა. გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს ძალები მოვაკელით განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და კრიმინალურ პოლიციას და სხვაგან გადავიყვანეთ. არანაირად, პირიქით, დღეს უფრო მეტი პოლიციელი დგას საოკუპაციო ზოლზე, ვიდრე აქამდე იდგა. – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას ქვეყანაში არსებული ვითარება შეაფასა და განაცხადა, რომ თითქმის ყველა რეგიონის მთავარი ქალაქი კონტროლდება.

– რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით სიტუაციას, იცით, რომ თითქმის ყველა რეგიონის მთავარი ქალაქი კონტროლდება, შესასვლელები, გასასვლელები. იმ შემთხვევაში, თუ დასჭირდებათ ჩაკეტვა, როგორც მარნეულში, ბოლნისში მოხდა, რომ უსწრაფესად განხორციელდეს გადაკეტვა მთლიანად, ვთქვათ, რომელიმე ქალაქის, თუ საჭიროება იყო, თუ რეკომენდაციას მოგვცემს ჩვენი ჯანდაცვის სამინისტრო, – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მისი თქმით, მოქალაქეები ემორჩილებიან დაწესებულ შეზღუდვებს და მოლოდინის მიუხედავად, გასული ღამის განმავლობაში მცირე რაოდენობით იყო სამართალდარღვევები.

– სხვათა შორის, ემორჩილებიან ნამდვილად, მეტ დარღვევებს ველოდებოდი, თუმცა, გუშინ ღამე, როდესაც დაიწყო უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის შეზღუდვები, იყო ძალიან ცოტა – 17 დარღვევა იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. მეტს ველოდებოდი სტატისტიკურად. მთლიანობაში, 350-მდე მოგვიწია, სამწუხაროდ. ეს არავის არ გვიხარია, არც ჩვენ და არც რიგით პოლიციელებს, არც ხელმძღვანელობას, რომ ჯარიმები ვუწეროთ ჩვენს მოქალაქეებს, თუმცა იძულებული ვართ, რომ ეს გავაკეთოთ. სადღაც 350-მდე ადამიანი და 10-15-მდე საწარმო დაჯარიმდა.

კრიმინალი მომატებული არ არის. ეს არის ცრუ ინფორმაციები. ერთეული შემთხვევები იყო და მთლიანი სტატისტიკით, ბევრად დაკლებულია რიცხვები. იქედან გამომდინარე, რომ 3-ჯერ მეტი პოლიციელია გამოსული დღეს, ადრე თუ იყო 10 პოლიციელი ერთ ობიექტზე, დღეს 30 პოლიციელია იმ ადგილზე.

აქედან გამომდინარე, დაკლებულია კრიმინალი. ასე რომ, განსაკუთრებული არაფერი არ ხდება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მარნეულშიც, გორშიც და თბილისშიც, თუმცა, ადრე თუ ხდებოდა 10, დღეს ხდება 4-3. პოლიციური რესურსი საკმარისია, თუმცა რეზერვები გვაქვს ჩვენც, თავდაცვასაც. მთლიანად სამთავრობო გუნდი მუშაობს პარლამენტთან ერთად, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მოახლოებულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით საპატრიარქოსთან კოორდინაციაში იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთლიანად მთავრობა.

– საპატრიარქოსთან კოორდინაციაში ვართ ყველა, არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთლიანად მთავრობა. გავიარეთ სხვადასხვა მიმართულებით, ახლა აღდგომა მოდის. ჯერ 2 კვირაა იქამდე. ამაზე შევჯერდებით, თუ როგორ ჩატარდება ყველაფერი. ველოდებით, 2 კვირაში რა იქნება, არავინ არ იცის, ჩვენ კი არა, მსოფლიოში რა იქნება, ეგ არ ვიცით, წინასწარ ვერ დავგეგმავდით ნამდვილად, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

ქუთაისში გოგი წულაია დააკავეს

გუშინ, 1 აპრილს, ქუთაისში, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარე გოგი წულაია დააკავეს.

შემთხვევა მოედანზე მოხდა. გოგი წულაიას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლით პოლიციელისათვის სამსახურებრივი მოვალეობის დროს სიტყვიერ შეურაცხყოფას ედავებიან.

წულაიას ბრიფინგი სავალუტო პუნქტების დახურვის გამო ჰქონდა და აცხადებდა, რომ შეზღუდვით ადამიანები უმუშევრები რჩებიან.

გოგი წულაიას ქალაქში პატრულმა პირადობის მოწმობა მოსთხოვა და მიუთითა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს პროტესტის უფლება არ ჰქონდა.

მცირედი შელაპარაკების დროს უცენზური სიტყვების გამო, წულაია განყოფილებაში გადაიყვანეს.

ქვემო ბოლნისში დამატებითი საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო

საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, ქვემო ბოლნისში დამატებითი საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო.

პირთა გადაადგილების კონტროლისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში შეზღუდვების კონტროლს განახორციელებენ. პოლიცია ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებზე პირთა გადაადგილებას და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფს.

ადგილობრივ მოსახლეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები რეგულარულად განუმარტავენ საკარანტინო შეზღუდვებს და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, ფოთის, გორის, თელავის და ახალციხის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები უკვე მოეწყო.

შსს-მ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 60 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ და კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

პოლიციამ ღამის განმავლობაში ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული რეგულაციების კონტროლიც განახორციელა.

სამართალდამცველებმა, მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის, მათ შორის ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დარღვევის 60 ფაქტი გამოავლინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, 21 საათიდან დილის 6 საათამდე დაწესებულ ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე საქართველოს მასშტაბით 17 მოქალაქე დააჯარიმა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის 5 პირი დააკავა.

გარდა ამისა, პოლიციამ საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების გამო 23 მოქალაქე დააჯარიმა.

1 ფიზიკური და 3 იურიდიული პირი დაჯარიმდა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე.

პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, აქტიურად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ მონიტორინგს, რომლის შედეგადაც, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 4 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

გარდა ამისა, სამართალდამცველებმა 12 პირი დააჯარიმეს მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

პოლიციამ კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების კონტროლი განახორციელა

საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაწესებული შეზღუდვების კონტროლს აგრძელებენ. ღამის განმავლობაში, ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული რეგულაციების კონტროლს, რომელიც 31 მარტს, 21 საათზე დაიწყო და 1 აპრილს, დილის 6 საათამდე გაგრძელდა, პოლიციის შესაბამისი დანაყოფები ახორციელებდნენ.

ამ დროის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება. შეზღუდვა არ შეეხო სატვირთო მანქანებსა და იმ სუბიექტებს, რომელთა სამუშაოს შესრულება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო დროის აღნიშნულ მონაკვეთში.

მოქალაქეები მთელი ქვეყნის მასშტაბით ინფორმირებულნი იყვნენ საგანგებო რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში ამოქმედებული რეგულაციების შესახებ, შესაბამისად ღამემ მშვიდად ჩაიარა. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული დარღვევევის შემთხვევებზე პოლიციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

მარნეულში მაღაზია გაქურდეს

მარნეულში, სადაც კარანტინის უმკაცრესი ზომები მოქმედებს, მაღაზია გაქურდეს. წაღებულია თანხა, საკვები და ნისიის რვეულიც კი.

მაღაზიის მფლობელი აცხადებს, რომ უცნობმა პირებმა გატეხეს კარი და ჩაამტვრიეს შუშები.

მეპატრონე ამბობს, რომ დილითვე დაურეკა პოლიციას, თუმცა საპატრულო პოლიცია ადგილზე ძალიან გვიან მივიდა.

– გუშინ ღამით გაქურდეს მაღაზია, სალაროდან დიდი რაოდენობის თანხა, პროდუქტები და ნისიების რვეულიც კი წაიღეს. დილის 8 საათზე გამოვიძახეთ პოლიცია და შუა დღის პირველ საათზე მოვიდნენ. ესაა პოლიციის მუშაობა? – აცხადებს მაღაზიის მეპატრონე.

შსს-ში ამბობენ, რომ საქმეზე დაწყებულია გამოძიება, ბრალდებული პირი კი დაკავებულია.

მსოფლიო, შესაძლოა, საკვების კრიზისის წინაშე აღმოჩნდეს

მსოფლიო, შესაძლოა, საკვების კრიზისის წინაშე აღმოჩნდეს, მთავრობები თუ ვერ მოახერხებენ პანდემიასთან სათანადოდ გამკლავებას.

ამის შესახებ გაერო-ს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

„მძიმე კარანტინის პირობებში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ვაჭრობა შეუფერხებლად გაგრძელდეს, რათა თავიდან ავიცილოთ საკვების დეფიციტი. მაშინ, როცა ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვიცავთ, ამავდროულად უნდა მივიღოთ ზომები, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც საკვების მიწოდების ჯაჭვს უკავშირდება, არ დაზიანდეს“ – ნათქვამია განცხადებაში.

მაკრონი: „ხელახლა უნდა ავაშენოთ ჩვენი სახელმწიფო და ევროპული სუვერენიტეტი“

საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინფორმაციით, საფრანგეთი სტრატეგიული სამედიცინო ნაწარმის წარმოებაში 4 მილიარდი ევროს ინვესტიციას ჩადებს.

მისი თქმით, ევროპა სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული აღარ უნდა იყოს.

– ჩვენი პრიორიტეტია, რომ დღეიდან დავიწყოთ წარმოება საფრანგეთში, ჩვენს ტერიტორიაზე. გარკვეულ პროდუქტებსა და მასალებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ევროპა დამოუკიდებელი უნდა იყოს. ხვალინდელი დღე გუშინდელს აღარასდროს უნდა ჰგავდეს. ჩვენ ხელახლა უნდა ავაშენოთ ჩვენი სახელმწიფო და ევროპული სუვერენიტეტი, – განაცხადა მაკრონმა.

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი ფონზე ევროპის ქვეყნებმა არაერთხელ განაცხადეს სამედიცინო აღჭურვილობის სიმცირეზე.

კონტინენტი პანდემიას მოუმზადებელი შეხვდა.

თვითიზოლაციის დროს განწყობის ამაღლების საშუალება ნაპოვნია

ფერითთერაპიის ექსპერტმა დაასახელა ის ფერები, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო თვითიზოლაციაში ყოფნის დროს ხელს უწყობს განწყობის ამაღლებას და შემოქმედებითი მოღვაწეობის სტიმულირებას.

ნიუიორკელი დიზაინერი ტანია ტეილორი საუბრობს ადამიანის ფსიქიკაზე სხვადასხვა ფერების დადებით ზემოქმედებაზე. ასე, მაგალითად, მშვიდი განწყობისთვის საჭიროა ცისფერი, იასამნისფერი და ღია-ვარდისფერი ტანსაცმელის ჩაცმა, ვინაიდან ასეთი ფერები არტერიულ წნევას დაბლა სწევენ და ამცირებენ შფოთვის დონეს. აღსანიშნავია, რომ იასამნისფერი დადებითად მოქმედებს გონებასა და ნერვებზე, ხოლო ვარდისფერი უსაფრთხოებასთან ასოცირდება.

გარდა ამისა, ტეილორის თქმით, მწვანე ფერს სამოსს მოაქვს განწონასწორებულობა და ჰარმონიულობა, ხოლო ყვითელს – ბედნიერება და ენერგია. წითელი ფერი რეკომენდირებულია იმ დროს, როდესაც გამხნევება და შთაგონება ესაჭიროება ადამიანს.

პუტინი ხელს აღარავის ჩამოართმევს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მუშაობას დისტანციურად განაგრძობს. პირველად ისტორიაში, ქვეყნის ლიდერი მთავრობის სხდომას ვიდეოკონფერეციის ფორმატში გამართავს.

კრემლის პრესსპიკერის, დიმიტრი პესკოვის თქმით, ვლადიმერ პუტინი ტელეკონფერენციის სახით დაუკავშირდება მთავრობის წევრებს, რაც „ინოვაციური მეთოდია“.

მისივე თქმით, ვლადიმერ პუტინმა მისალმების მანერა შეცვალა და ის შეხვედრების დროს ხელს აღარავის ჩამოართმევს.

31 მარტს ცნობილი გახდა, რომ იმ საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომელსაც ვლადიმერ პუტინი რამდენიმე დღის წინ სტუმრობდა, კორონავირუსი დაუდგინდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მონადირემ თვითიზოლირებული მარტოხელა მგელი მოკლა

მონადირემ მოკლა მარტოხელა მგელი, სახელად ტაკაია, რომელიც „თვითიზოლირებაში“ იმყოფებოდა კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის კუნძულ დისკავერიზე.

ზღვის ლომი ტაკაია, რომლის სახელი ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე „მგელს“ ნიშნავს, ცნობილი მას შემდეგ გახდა, როდესაც მან ქალაქების გარეუბნები გაიარა, სამი კილომეტრიც იცურა, რათა კუნძულ დისკავერიზე განმარტოებულიყო. ტელეკომპანია „ბიბი-სიმ“ ტაკაიას მოგზაურობაზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო.

თავისი მოგზაურობის დროს მგელი ღამეს კუნძულ ვანკუვერიზე სახლების უკანა ეზოებში ათევდა, ხოლო ქალაქ ვიქტორიაში პოლიციას გაექცა. ამის შემდეგ ის გაემართა კუნძულზე, სადაც ზღვის ფრინველებისგან ნადავლის ამოთხრილი ორმოებიდან მოპოვება ისწავლა. ტაკაია იშვიათი ზღვის მგლების სახეობას განეკუთვნებოდა, რომლებიც ხროვებად ბინადრობენ ზღვის სანაპიროებზე და მოლიუსკებითა და თევზებით იკვებებიან.

დაღუპვამდე ერთი თვით ადრე მგელმა კუნძული დატოვა თანამოძმეთა მოსაძებნად და ორი დღე ქალაქ ვიქტორიას შემოგარენში დაძრწოდა. იქ ის ტრანკვილიზატორით დააძინეს და კუნძულ ვანკუვერიზე გადაიყვანეს. პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ბუნების დაცვის სააგენტოში ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ კუნძულ დისკავერიზე დაბრუნების შემთხვევაში, ის შესაძლოა იქიდან ისევ გამოქცეულიყო.

24 მარტს სოფელ შონიგან-ლეიუს მახლობლად ტაკაია მონადირემ მოკლა. 29 მარტს მარტოხელა მგელი მისმა ათასობით ფანმა კოლექტიური ყმუილით მიაბარა მიწას.

სექს-შოპმა საავადმყოფოს სამედიცინო სამოსი შესწირა

ბრიტანულმა სპეციალიზირებულმა სექს-შოპმა, რომელიც სამედიცინო ფეტიშიზმის მოყვარულებზეა ორიენტირებული, საავადმყოფოს მათ ხელთ არსებული მედდებისთვის განკუთვნილი ერთჯერადი მოხმარების სამოსების სრული კომპექტები გადასცა.

ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წარმომადგენლებმა სამედიცინო ტანსაცმელი უფასოდ მას შემდეგ მიიღეს, როდესაც სექს-შოპს დაუკავშირდნენ იმის იმედით, რომ სამედიცინო სამსახურის იმ თანამშრომლებისთვის, რომლებსაც კორონავირუსის პანდემიასთან უწევთ ბრძოლა, დამცავი ტანსაცმლის კომლექტები ეშოვათ.

სექს-შოპში არ დაუზუსტებით, თუ კერძოდ რომელ საავადმყოფოს გაუგზავნეს სპეცტანსაცმელი. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სამედიცინო დანესებულება სამხრეთ ინგლისში მდებარეობს.

პრინცი ჩარლზი კორონავირუსისგან განიკურნა

დიდი ბრიტანეთის პრინცი ჩარლზი, რომელსაც ადრე კორონავირუსის ახალი ტიპის ინფექცია დაუდგინდა, განიკურნა და თვითიზოლაციაში აღარ იმყოფება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო უელსის პრინცის პრეს-მდივანზე დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 71 წლის პრინცი ჩარლზი თავს კარგად გრძნობს. კლარენს-ჰაუსის რეზიდენციის წარმომადგენლებმა, სადაც სახლობს ტახტის მემკვიდრე, დაადასტურეს, რომ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ უელსის პრინცისთვის თვითიზოლაციის მოხსნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჩარლზსა და მის მეუღლე კამილას, კორნუოლის ჰერცოგინიას კორონავირუსზე ანალიზები 23 მარტს აუღეს და მისი შედეგები მეორე დღეს გახდა ცნობილი. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ინფიცირებული აღმოჩნდა, ხოლო მისმა მეუღლემ ინფექციისთვის თავის არიდება მოახერხა.

მამის სწრაფმა რეაქციამ ბავშვი ბორბლებქვეშ დაღუპვას გადაარჩინა

ჩინეთის ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ცზინხუაში ბავშვი ავტომობილის ბორბლებქვეშ დაღუპვას მამის სწრაფი რეაქციის წყალობით გადაურჩა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცი პატარა ბავშვთან ერთად ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე გადადიოდა. ერთ-ერთმა ავტომობილმა გადასასვლელის წინ არ დაამუხრუჭა და კინაღამ ბავშვს დაეჯახა. მამამ ბოლო მომენტში მოასწრო ბავშვის ხელში ატაცება, უკან გადაისროლა და დაღუპვას გადაარჩინა.

მანქანამ ის ადგილი გაიარა, სადაც წამის წინ ბავშვი იდგა და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩერდა. ავტომობილის მძღოლს ჯერ ბავშვის გაცოფებულ მამასთან მოუწია გამკლავება, რომელიც მისი მანქანის მინას მუშტებს უბრახუნებდა, შემდეგ კი მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა.

ეპიდემიის შედეგად დაცარიელებულ ქალაქებს პუმები და ხვლიკები დაეპატრონნენ

გარეული ცხოველები დაბრუნდნენ ქალაქებში, რომლებიც კორონავირუსის გამო შემოღებული კარანტინის პირობების გამო დაცარიელდა. ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერის ქუჩებში პუმები დასეირნობენ, ტაილანდის დაცარიელებულ პლაჟებზე უზარმაზარი ხვლიკები დათარეშობენ და ორთაბრძოლებს მართავენ, ხოლო ნიუ-დელის პრესტიჟული გარეუბანი ძროხებმა საძოვრად გაიხადეს.

ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა ინდოეთის დედაქალაქის მდიდრულ გარეუბან გურგაონში, სადაც სხვადასხვა ცნობილი კორპორაციების წარმომადგენლობები, მდიდრული სავაჭრო ცენტრები და ღამის კლუბებია განთავსებული, გადაღებული ვიდეო. საერთოეროვნული კარანტინის გამოცხადების შემდეგ მის ქუჩებში ძროხები გამოჩნდნენ.

კიდევ ერთი ვიდეორგოლი გადაღებულია ტაილანდის კრაბის პროვინციის ეროვნული პარკის ზედამხედველის მიერ. მასზე ჩანს, რომ პლაჟები ტურისტების ნაცვლად კომოდურ ვარანებს აქვთ დაკავებული, რომლებიც ყველაზე დიდ თანამედროვე ხვლიკებს წარმოადგენენ. მათი სიგრძე, შესაძლოა, სამ მეტრს აღემატებოდეს, ხოლო წონა – 80 კილოგრამს.

– ისინი ერთმანეთს ტერიტორიისთვის ებრძოდნენ, – განმარტა ვიდეოს ავტორმა, – უნდოდათ ეჩვენებინათ, თუ ვინ არის ამ მიწის პატრონი.

ამერიკის ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ბოულდერის პოლიციაში ორი დღის განმავლობაში მოქალაქეთა ოთხი ზარი შევიდა, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ქალაქის ქუჩებში პუმები დასეირნობდნენ. ჩვეულებრივ, ეს მტაცებელი ადამიანებთან შეხვედრას გაურბის, თუმცა ახლა ისინი დღისით, მზისით ქალაქის ქუჩებში გამოსვლასაც აღარ ერიდებიან.

– როდესაც თქვენს ქალაქებში ნაკლები აქტიურობაა, რა თქმა უნდა, მათ გარეული ცხოველები დაეპატრონებიან, – განაცხადა კოლორადოს შტატის პარკებისა და გარეული ბუნების სამმართველოს თანამშრომელმა ჯეისონ კლეიმ.

ბლოგერი დამცავი ნიღბებისგან ბიკინის დამზადებისთვის გალანძღეს

ვიეტნამელმა ბლოგერმა ქალმა და მეწარმემ დამცავი სამედიცინო ნიღბებისგან ბიკინი დაამზადა, რისთვისაც ის სოციალურ ქსელში სასტიკი კრიტიკის ობიექტად იქცა.

ინტერნეტმაღაზიის მფლობელმა, თვითნაკეთ ბიკინიში გამოწყობილმა ოანმა, საკუთარ თავს სარკეში გადაუღო ფოტოსურათი. საცურაო კოსტიუმი ცისფერი სამედიცინო ნიღბებისგან იყო დამზადებული, რის გამოც ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა ხელმომწერთა კრიტიკა დაიმსახურა.

– მადლობა, რომ ფუჭად გახარჯე ასეთი მნიშვნელოვანი დამცავი ნიღბები, – დაწერა დაცინვით ერთ-ერთმა ხელმომწერმა.

– აი, თურმე სად გაქრა ეს ნიღბები, – აღნიშნა მეორემ.

– ევროპასა და ამერიკაში ნიღბები არ ჰყოფნით, შენ კი მათ ასეთი სახით იყენებ, – დაწერა მესამემ.

– სამარცხვინოა, – გაკიცხა კიდევ ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

მოგვიანებით ბლოგერმა ფოტოსურათი თავისი გვერდიდან წაშალა და თავის მართლების ცდის შემდეგ ბოდიში მოიხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალმა 18 წლის განმავლობაში ჯეკპოტი მეორედ მოხსნა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში სამი მილიონი დოლარი მოიგო და ეს მის მიერ ლატარიაში პირველად ჯეკპოტის მოხსნიდან 18 წლის შემდეგ მოხდა.

2002 წელს ენი კესელმა ჯეკპოტი 50 ათასი დოლარი მოხსნა. მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში მან ლატარიის რამდენიმე ბილეთი შეიძინა. შედეგად ლატარიის გათამაშებაზე ამოსული რიცხვები ქალის ერთ-ერთ ბილეთზე გადახაზულ რიცხვებს დაემთხვა და მან უკვე მეორედ მოხსნა ჯეკპოტი.

– იგივე ბლეთები შევიძინე, რომლებსაც ჩვეულებრივ ვყიდულობ და ერთ-ერთმა მათგანმა მოულოდნელად უზომოდ გამაბედნიერა, – განაცხადა ამერიკელმა ქალბატონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

საზოგადოება

ანდრია და მელიტონ ბალანჩივაძეების ქუჩას თამაზ ჭილაძის სახელი დაარქვეს

თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე ანდრია და მელიტონ ბალანჩივაძეების ქუჩას სახელი შეუცვალეს და თამაზ ჭილაძის სახელი დაარქვეს.

ინფორმაცია ამ ქუჩის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა გაავრცელა.

– მაგარი გამიტყდა, ჩემს ქუჩას გადაარქვეს ანდრია და მელიტონ ბალანჩივაძეების სახელი და, აი, ასეთი სიურპრიზი დამხვდა...

„თამაზ ჭილაძის 11“... რატომ გააკეთეთ ეს? რამ არ დაგაკმაყოფილათ? ანდრია და მელიტონ ბალანჩივაძეები ვინმეზე ნაკლები საზოგადო მოღვაწეები იყვნენ? მელიტონ ბალანჩივაძის შვილი გახლდათ „ჯორჯ ბალანჩინი“ – მსოფლიო ლეგენდა, რომელმაც ამერიკას შეუქმნა ბალეტი. მან, ფაქტიურად, რევოლუცია მოახდინა საბალეტო ხელოვნებაში.

ანდრია ბალანჩივაძე: კომპოზიტორი, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, სახალხო არტისტი, პედაგოგი.

სამარცხვინოა, რაც გააკეთეთ! შოკში ვარ, ბრავო! არასოდეს დამავიწყდება ეს ვანდალიზმი.

ვცხოვრობდი: მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების 69-ში, ახლა კი ვცხოვრობ თამაზ ჭილაძის 11-ში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თემურ შალამბერიძე: „დრო გვიჩვენებს, რა ფორმატით განახლდება პირველობა“

ეროვნული ჩემპიონატი დროებით შეჩერებულია. თუ რა არის ამის მიზეზი, ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

რა და როგორ იქნება მომავალში, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. შექმნილ მდგომარეობაზე საფეხბურთო კლუბ საბურთალოს მთავარი მწვრთნელი **თემურ შალამბერიძე** საუბრობს.

– ახალ რეჟიმთან შეგუება რამდენად მოახერხეთ და როგორ გაგყავთ დრო?

– ყველა წესს ვიცავთ, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო გვავალდებულებს. ექიმებისა და სპეციალისტების რჩევებს ვითვალისწინებ. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობს. იმედია, მალე ყველაფერი კარგად იქნება და ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს დავბრუნდებით.

მიუხედავად იმისა, რომ სულ სახლში ვარ, მაინც ფეხბურთით ვცხოვრობ – ვუყურებ საბურთალოს განვლილ თამაშებს, ვაკეთებ ანალიზს, ვნახულობ, თუ რა შეცდომები გვქონდა. ვფიქრობ იმაზეც, როდესაც გადაწყდება ვარჯიშების განახლება, რა დრო გვექნება მოსამზადებლად, რათა ჩემპიონატს სასურველ სპორტულ ფორმაში შევხვდეთ.

– გუნდმა რამდენიმე კვირაა, რაც ვარჯიში შეწყვიტა. გექნებათ კომუნიკაცია ფეხბურთელებთან. როგორ ინარჩუნებენ სპორტსმენები სპორტულ ფორმას?

– ასეთი მდგომარეობაში ფორმის შენარჩუნება იოლი არ არის, მაგრამ ინდივიდუალურად დარიგებული გვაქვს სავარჯიშო პროგრამა და ასე ვარჯიშობენ ფეხბურთელები.

– ლეგიონერებმა დატოვეს საქართველო?

– უმეტესობამ დატოვა საქართველო და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

– ჩემპიონატის სტარტზე ტრავმები მიიღეს გიორგი კოხრეიძემ და ლევან კაკუბავამ. როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– ახლა ფეხბურთელები უკეთ არიან. როდესაც განახლდება ვარჯიშები, ისინი გუნდთან ერთად დაიწყებენ საწვრთნელ პროცესს.

– ჯერჯერობით, არავინ არაფერი იცის, თუ როდის განახლდება ვარჯიშები და შემდეგ პირველობა. თქვენ, ხომ არ გაქვთ თქვენეული ვერსია, თუ როგორ უნდა განახლდეს და დასრულდეს ჩემპიონატი?

– თუ ზაფხულში დაიწყება ჩემპიონატი, ალბათ 2 წრედ ჩატარება ყველაზე სწორი და სამართლიანი იქნება. თუმცა, ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს. დრო გვიჩვენებს, რა ფორმატით განხლდება პირველობა.

– ეროვნული ლიგის მწვრთნელებთან თუ გაქვთ კომუნიკაცია და რას ამბობენ, როგორი ჩემპიონატის გაგრძელების მომხრე არიან?

– რა თქმა უნდა, მაქვს კომუნიკაცია, მწვრთნელები ვსაუბრობთ ერთმანეთში. ყველა ამ ეპიდემიის დასრულების მოლოდინშია.

– მოსამზადებლად გარკვეული დრო გექნებათ. ალბათ ამ შეკრებას საქართველოში გაივლით.

– დიდი ალბათობით აქ მოვემზადებით, რადგანაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებას ვერ შევძლებთ. ეს პრობლემა მთელს მსოფლიოშია მოდებული და არ ვიცით, სხვაგან რა მდგომარეობა იქნება.

მარტო ჩვენ არა, სავარაუდოდ, სხვა ქართულ გუნდებსაც შეკრების ადგილზე გავლა მოუწევთ.

ხოსეპ ბართომეუ: „14 მარტიდან ბარსელონაში ფული აღარ შემოდის, მაგრამ ყველაფერს გავუძლებთ“

„ფეხბურთის თამაში გულშემატკივრებთან ერთად გვინდა“

ბოლო დროს, ბარსელონას გარშემო 2 აქტუალური თემა ტრიალებდა. პირველი იყო ფეხბურთელებისთვის ხელფასების 70%-ით დაქვითვა, მეორე კი – მიმდინარე სეზონის განახლება. ესპანურ მედიასთან ინტერვიუში, კლუბის პრეზიდენტმა, **ხოსეპ მარია ბართომეუმ** სწორედ ამ თემებზე ისაუბრა.

– როგორია თქვენი შეფასება, ხელფასების შემცირებასთან დაკავშირებით ფეხბურთელებთან მიმდინარე მოლაპარაკებებში მათ პოზიციაზე?

– მიღწეული შეთანხმება იმის დემონსტრირებაა, რომ ფეხბურთელები კლუბისადმი ერთგულნი არიან და ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ. ისევე, როგორც მწვრთნელებსა და სხვა პროფესიონალური გუნდების წევრებს: კალათბურთის, ხელბურთის, ფუტზალის, ჰოკეის, ქალთა გუნდის, ბარსა ბ-სა და 19-წლამდელთა გუნდის წევრებს.

– რატომ გაიწელა ეს პროცესი ასე დიდხანს?

– რთულია შეთანხმების მიღწევა მაშინ, როდესაც ერთმანეთთან შეხვედრას ვერ ახერხებთ. თუმცა, ეს მნიშვნელოვანი აღარაა. მნიშვნელონი ისაა, რომ შეთანხმება მოხდა. 20 მარტს ჩვენ ფეხბურთელებს ხელფასების 70%-ით შემცირება შევთავაზეთ და მათ თანხმობა განაცხადეს.

– როგორ წარიმართა მოლაპარაკებები?

– დავიწყეთ ვიდეოკონფერენციით, რის შემდეგაც მათ ვურეკავდით ხოლმე. ისინი ამ ცვლილებაზე თანახმანი იყვნენ. ისინი დაგვთანხმდნენ, მაგრამ ჩვენ ამას მათი თანხმობის გარეშეც გავაკეთებდით.

– მაგრამ ეს ადვილი არ იყო.

– მოლაპარაკებების დაწყების მომენტიდანვე ისინი მონდომებულები იყვნენ. მათ კლუბისადმი თავდადება დაამტკიცეს. ჩემი სურვილი იყო, ხელფასების დაკლება შეთანხმებით მომხდარიყო და არა იძულებით. შეგვეძლო ერტეს ღონისძიება ფეხბურთელების ნებართვის გარეშე გამოგვეყენებინა, მაგრამ ამას დღეები დასჭირდებოდა. შეთანხმების მიღწევა ჯობდა. მომხდარით კმაყოფილი ვარ.

– ესაუბრეთ მესის?

– რა თქმა უნდა. ბოლოს კვირა ღამით. ის პირველივე წუთიდან ამბობდა, რომ ეს უნდა გაგვეკეთებინა. კლუბის არამთამაშე წევრებისთვის ხელფასის სრულად გადახდის ინიციატივა კაპიტნებისგან მოდიოდა.

– როგორ იმუშავებს ახალი სისტემა?

– ფეხბურთელები ყოველთვიური ხელფასის 70%-ს მოიკლებენ, დამატებით 2%-ით კი კლუბის არამოთამაშე წევრების ხელფასებს დააფინანსებენ. ჩვენ ვაპირებდით, ხელფასები ყველა თანამშრომლისთვის შეგვემცირებინა, მაგრამ ფეხბურთელების სურვილით, არამოთამაშე თანამშრომლები ანაზღაურების 100%-ს მიიღებენ.

ფეხბურთელები, საგანგებო მდგომარეობის გამო, ყოველთვიურად, თავიანთი წლიური ანაზღაურების 5.75 პროცენტს დაკარგავენ. კლუბი ფეხბურთის გუნდებისგან 14 მილიონ ევროს, ხოლო სხვა გუნდებისგან 2 მილიონს დაზოგავს. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, თვეში 16 მილიონ ევროს დაზოგავთ.

– როგორ მიიღეთ ფეხბურთელების განცხადებაში კლუბის ხელმძღვანელობის კრიტიკა?

– 20 მარტიდან მოყოლებული, 10 დღის განმავლობაში მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. კლუბს გარეთ არაერთი ადამიანი ავრცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რაც მათ არ იცოდნენ. შესაძლოა, ამან ფეხბურთელების გაღიზიანება გამოიწვია. მოლაპარაკებებს მე და ოსკარ გრაუ ვმართავდით. თუმცა, აქამდე განცხადება არ გამიკეთებია.

– კრიტიკა თქვენი, ბორდის წინააღმდეგ იყო მიმართული?

– ასეთი ინტერპრეტაცია არ მიმიცია. ეს ფეხბურთელებს უნდა ჰკითხოთ. კლუბში ბევრი ადამიანი მუშაობს.

– ფეხბურთელებზე ზეწოლას ახდენდით?

– არა. ასევე ტყუილია, რომ საკალათბურთო გუნდის მოთამაშეზე, მიროტიჩზე ზეწოლას ვახდენდი. ნიკოს მხოლოდ მადლობის გადასახდელად დავურეკე.

– რატომ 70%?

– სწორედ ეს ოდენობა ჩავთვალეთ ადეკვატურად. ფეხბურთელები სახლში მუშაობას განაგრძობენ. 30%-ს გადავუხდით სახლში მუშაობისთვის, 70%-ს კი ჩამოვაკლებთ იმისთვის, რომ მათ მოედანზე გასვლა არ შეუძლიათ.

– რამდენს იზარალებს ბარსელონა კორონავირუსის გამო?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ხანს გაგრძელდება არსებული სიტუაცია. 14 მარტიდან მოყოლებული, კლუბში ფული აღარ შემოდის. ვეღარ ვყიდით ბილეთებს, სკოლები დახურულია, აღარ გვაქვს თამაშები... აღარაფერი ხდება. ახლა ვცდილობთ, ხარჯებს გავუმკლავდეთ. როდესაც მუშაობას განვაგრძობთ, დავინახავთ, რა შემოსავალი დავკარგეთ.

– კლუბი საფრთხეშია?

– არა. მსოფლიოში არც ერთ კლუბს არ აქვს იმდენი შემოსავალი, რამდენიც ჩვენ. ჩვენ განვსხვავდებით იმ კლუბებისგან, რომლებსაც შემოსავალი მხოლოდ ბილეთებიდან და სატელევიზიო უფლებებიდან აქვთ. ჩვენ გვაქვს სკოლები, მუზეუმი... პანდემიამ ჩვენ სხვებზე მეტად გვაზარალა, მაგრამ ფეხზე წამოდგომასაც სხვებზე სწრაფად შევძლებთ. ბარსელონამ გააკეთა ის, რაც სხვა ბევრმა კლუბმა: ბაიერნმა, იუვენტუსმა, ლიონმა, ატლეტიკომ და კიდევ ბევრი გააკეთებს.

– რამდენად კარგად უმკლავდება კლუბი სიტუაციას?

– მიმდინარე სეზონის ნავარაუდევი ბიუჯეტი მილიარდი ევრო იყო, თებერვლის მონაცემებით კი გეგმას ვუსწრებდით. ბარსელონა ისევ ყველაზე მაღალშემოსავლიანი საფეხბურთო კლუბი იქნება. შემოსავალს ყველა კლუბი კარგავს და ჩვენი მიზანი იყო, დროული რეაგირება მოგვეხდინა.

– როგორ იმოქმედებს ეს სიტუაცია მომავალ ტრანსფერებზე?

– ვვარაუდობ, რომ მომდევნო სატრანსფერო ფანჯარაზე ნაკლები ფული დაიხარჯება და კლუბები უფრო მეტად ფეხბურთელებს გაცვლიან.

– კლუბის სატრანსფერო ბიუჯეტი შემცირდა?

– შემოსავლები საშუალებას გვაძლევს, ტრანსფერები განვახორციელოთ. მნიშვნელოვანია, რომ ძლიერი გუნდი გვყავდეს და საამისო რესურსები გაგვაჩნია. შესაძლოა, ნაკლები დავხარჯოთ, მაგრამ კარგ ფეხბურთელებს მაინც შევიძენთ.

– როგორი კალენდარი დააბრუნებს ფეხბურთს ნორმალურ მდგომარეობაში?

– ადრე თუ გვიან, ასე მოხდება. სცენარი, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, თამაშების 30 ივნისამდე განახლებას და სეზონის ივლისში ან აგვისტოში დასრულებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ გვაქვს. რაც არ გვსურს, არის გულშემატკივრების გარეშე, ან ყოველ 48 საათში ერთხელ თამაში.

– და თუ ცარიელ ტრიბუნებზე თამაში გადაწყდება?

– ეს უნდა გვაიძულონ. ჩვენ გულშემატკივრებთან ერთად თამაში გვსურს. ევროპის ჩემპიონატი და კოპა ამერიკა გადაიდო და ზაფხულში, ფეხბურთის სათამაშოდ საკმარისი დროა.

– როდის მიიღებენ ფეხბურთელები დასვენებას?

– როდესაც საგანგებო მდგომარეობა დასრულდება, გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. ეს ან დაუყოვნებლივ მოხდება, ან სეზონის შემდეგ. ამჟამინდელი მდგომარეობით, არაა გამორიცხული, მომდევნო სეზონი მიმდინარეს დასრულებისთანავე დაიწყოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მესიმ 15 მომავალი ვარსკვლავი ჩამოთვალა

არგენტინის ნაკრებისა და ბარსელონას კაპიტანმა ლეო მესიმ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელების სია შეადგინა, რომლებსაც მომავლის ვარსკვლავებად მიიჩნევს. არგენტინელმა თითოეულ დასახელებულ მოთამაშეს მოკლე კომენტარიც დაურთო.

ერთადერთი თვალში საცემი ფაქტი ის არის, რომ არგენტინელს ამ სიაში არ ჰყავს მიმდინარე სეზონის აღმოჩენა, დორტმუნდის ფორვარდი ერლინგ ჰაალანდი.

მესის 15-ეული ასე გამოიყურება:

ტრენტ ალექსანდრ-არნოლდი (ლივერპული) – მარჯვენა მცველი, რომელიც შეტევაში შესანიშნავად თაამაშობს და ის მომავალია;

კრისტიან პულისიკი (ჩელსი) – ძალზე მოქნილი და სხარტი ფეხბურთელია;

მეისონ მაუნთი (ჩელსი) – მისი თამაში ვნახე და ერთ-ერთი საუკეთესო გახდება;

ფილ ფოდენი (მანჩესტერ სიტი) – წარმოუდგენლად გამოიყურება და უდიდესი ნიჭი აქვს;

ჯეიდონ სანჩო (დორტმუნდი) – მცველებს შეუდარებლად ატყუებს;

ლუკა იოვიჩი (რეალი) – ჯადოსნური ფეხბურთელია, რომელიც შეუძლებელს შესაძლებელს ხდის;

კაი ჰავერცი (ლევერკუზენი) – მცირე ასაკის მიუხედავად, მეტოქის კართან ის უჩვეულოდ თავდაჯერებულია;

ედერ მილიტაუ (რეალი) – ფენომენალური ნიჭის მქონე მრისხანე მეომარი;

უსმან დემბელე (ბარსელონა) – ვარჯიშზე მისი სისწრაფე ზოგჯერ მაშინებს;

უსემ აუარი (ლიონი) – ბურთთან თავს ძალზე მშვიდად გრძნობს, მას შესანიშნავი ტექნიკა აქვს;

ფრენკი დე იონგი (ბარსელონა) – ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მეპასე, რომელიც ამ ასაკში მინახავს;

ჟოაო ფელიქსი (ატლეტიკო) – ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ახალგაზრდა ფეხბურთელი;

კილიან მბაპე (პსჟ) – ძალიან სახიფათო ფეხბურთელია და უაღრესად კარგი სისწრაფე აქვს;

იოზუა კიმიხი (ბაიერნი) – უნიჭიერესი ფლანგის მცველი, რომელიც ბევრ საგოლე პასს აკეთებს;

ბენჯამინ პავარი (ბაიერნი) – საიმედო მცველი, რომელსაც უძლიერესი დარტყმა აქვს.

კალეიდოსკოპი

თვითიზოლაციაში მყოფი დიზაინერი მარკ ჯეიკობსი გაშიშვლდა

ამერიკელი მოდელიერი და საკუთარი სახელის ბრენდის დამაარსებელი მარკ ჯეიკობსი თვითიზოლაციაში ყოფნის დროს სრულიად გაშიშვლდა და საკუთარ თავს ფოტოსურათები გადაუღო.

56 წლის დიზაინერი სააბაზანო ოთახში პოზირებს და ამ დროს საჰაერო კოცნის იმიტაციას ახდენს. მის ზურგს უკან დიდ სარკეში ჩანს, რომ ის ამ დროს სრულიად შიშველია.

– დღევანდელი სახე. რეალური კოსტიუმი დაბადების დღისთვის (დღეს ჩემი დაბადების დღე არ არის), – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში დიზაინერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ალპინისტთა ექსპედიცია, რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. პეკინის ისტორიული სახელწოდება; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 20. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი.

თარაზულად: 6. პოპულარული კაფე ძველ თბილისში ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი კლიმატური ზონის სახელწოდება აშშ-ში; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. უდაბნო შუაზაზიაში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ავსტრალიის დედაქალაქი; 22. აეროპორტი პარიზში; 23. მდინარე საქართველოში; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“; 4. ალკოვი; 6. დეკალოგი; 8. „მილანი“; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. „დელტა“; 17. კელია“; 18. კურსი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. განდი; 7. ფარღული; 9. ასტურია; 10. სორბონა; 13. ნარვალი; 14. „ბედეგი“; 15. მილი; 19. აჯამეთი; 20. პეკინესი; 21. „ნატახტარი“; 22. მირონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ოპიზარი; 2. „ამირანი“; 3. „ფიტომალი“; 4. მოპედი; 5. კარმენი; 8. ჩარდაში; 9. შორაპანი; 12. ბარტოლდი; 13. ანალგია; 16. „ბერიკები“; 17. ვივიენი; 19. „კახასა“; 20. მოხელე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. იავნანა; 11. იედო; 14. კინტრიში; 15. „ბრასკუბა“; 18. დელონი; 21. აზიმოვი; 22. „ჰონდა“; 23. „ალკენი“; 24. ფილისტერი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2413

ევრო — 3.5460

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0127

100 რუსული რუბლი — 4.2022

ამინდის პროგნოზი 2 აპრილისთვის

ნინო სურგულაძე: „ცოტაც უნდა გავუძლოთ!“

ნინო სურგულაძე ყველას მოუწოდებს დარჩეს სახლში, თუკი სამსახურებრივი აუცილებლობა არ არის გარეთ გასვლა:

— ისინი, ვინც მაინც არ რჩებიან სახლში და თუ სამსახურებრივი აუცილებლობა არ მოითხოვს, მაინც გადიან და ხვდებიან ადამიანებს, რომელთა უკან ოჯახებია და უამრავი ადამიანი... არ ესმით მთავარი, რომ პოტენციური გამავრცელებლები არიან ამ ძალიან ცუდი და საშიში ვირუსის... ნუთუ ასე რთულია ამის შეგნება?

მეც მენატრება მეგობრები, ჩემი საქმე, ნათესავები, მათთან პირისპირ საუბარი და ჩახუტება და თუნდაც დროის გატარება, მაგრამ უნდა გვესმოდეს და შევიგნოთ, რომ ვართ ომში, ჩვეულებრივ ომზე უარეს ომში უხილავ მტერთან. იტალიაში სწორედ ამგვარად არ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და დღეს ყოველდღე 1000 მდე ადამიანს კარგავენ. ადამიანებს, რომლებსაც ახლობლებთან გამომშვიდობების საშუალებაც კი არ აქვთ. მესმის რთულია, თან ძალიან იზოლიაციაში ყოფნა, მაგრამ უნდა გავუძლოთ. შეგნების და პასუხისმგებლობის ამბავია უბრალოდ. ცოტაც უნდა გავუძლოთ. რა არის ორი თვე მთელს სიცოცხლესთან შედარებით? არაფერი. ნუ გავრისკავთ თუნდაც იმ ერთი პროცენტით.

დავრჩეთ სახლში!

გიორგი კეკელიძემ ესპანეთში კორონავირუსით გარდაცვლილი ქალის შვილს სტიპენდია დაუნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ესპანეთში კორონავირუსით გარდაცვლილი ქალის ერთ-ერთ შვილს, ანანო ნაჭყებიას, გურული ფონდის დღიურების სტიპენდია დაუნიშნა:

— ანანო ნაჭყებია ესპანეთში კორონავირუსით გარდაცვლილი ქალის შვილია, შესანიშნავი მეხუთეკლასელი სამტრედიიდან, რომელზეც სკოლის დასრულებამდე ვიზრუნებთ. გურული დღიურების ფონდი მას ყოველთვიურ სტიპენდიას დაუნიშნავს. ფონდი შეუძენს სასკოლო ინვენტარსაც და სკოლის დამთავრებამდე სასწავლო მიმართულებით სხვა დახმარებასაც ხშირად გაუწევს. ანანო სამტრედიაში ცხოვრობს და საუკეთესო მეხუთეკლასელია.

ჩვენი ფონდის სტიპენდიანტი გახდა კატო არჩვაძე — მრავალმხრივ ნიჭიერი გოგონა, ეროვნული ბიბლიოთეკის გარდაცვლილი თანამშრომლის შვილი, მასზეც სკოლის დასრულებამდე ვაპირებთ ზრუნვას.

ნიკოლოზ კუტუბიძე მოჭიდავე-ტალანტია ოზურგეთიდან.

საბა ცინდელიანი საუკეთესო მოსწავლე სვანეთის სოფელ ნაკრაში.

ეს სახელები კარგ ამბებს ნიშნავს ამ რთულ დროში — იზოლაცია-კარანტინის პერიოდისას, დიდი ძალისხმევით და კარგი ადამიანების დახმარებით, მათ გურული დღიურების სტიპენდია დავუნიშნეთ.

ირაკლი ნოზაძე და ია დუდაშვილი მშობლები გახდებიან



ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ირაკლი ნოზაძე, იგივე პიკასო მამა მესამედ გახდება. ის და მისი მეუღლე ია დუდაშვილი მეორე შვილს — ბიჭს ელოდებიან.

ირაკლის წინა ქორწინებიდან ბიჭი, ლუკა ჰყავს, იასთან კი, პატარა ნიაკო, რომელიც ნამდვილი ინტერნეტვარსკვლავია. ნიას ვიდეოებს სოციალურ ქსელში უამრავი მოწონება, დადებითი კომენტარი და გაიზარება აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ექიმი გოგონას ეკითხება:

— გოგონი, ნიღაბი რატომ არ გიკეთიათ?

— ლეოპარდის ტყავისსას ველოდები.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— კორონავირუსი უეჭველად ქალების შეთქმულებაა მამაკაცების წინააღმდეგ...

— ასე რატომ ფიქრობ?

— უპირატესად მამაკაცები იღუპებიან. გაუქმდა ყველა მატჩი, დაკეტილია ბარები და გასართობი დაწესებულებები, ცოცხლად დარჩენილები კი სახლებში, ცოლებთან სხედან.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეუბნება:

— ბიჭო, იცი, თურმე კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში ძილის წინ 50 გრამი არყის მიღება სასარგებლოა.

— ვიცი და წუხელ დასაძინებლად ექვსჯერ დავწექი.

●●●

გოგო ბიჭს ურეკავს:

— გოგი, ჩემი მშობლები სოფელში წავიდნენ... ხვდები, რაზე მიგანიშნებ?

— როგორ არა, მაგარია, სოფლის პროდუქტებს ჩამოიტანენ...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

— საყვარელო, რატომ მყავხარ ასეთი სულელი და არაადეკვატური?

— იმიტომ, რომ ასე მოგიხდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტოტენჰემი კეინში 200 მილიონს ითხოვს

ლონდონის ტოტენჰემი თავისი ფორვარდის ჰარი კეინის გაყიდვას 200 მილიონზე ნაკლებად არ აპირებს და ლონდონელები სხვა თანხას არ განიხილავენ.

კეინმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ისეთ გუნდში სურს გადასვლა, სადაც ის ტიტულებს მოიგებს და ამით მან აღიარა, რომ ტოტენჰემის დატოვება სურს.

კეინის შეძენა ყველაზე მეტად მანჩესტერ იუნაიტედს უნდა, თუმცა უცნობია დათანხმდებიან თუ არა მანჩესტერელები ამხელა თანხის გადახდას.

ტოტენჰემის მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას არ სურს, რომ კეინმა ტოტენჰემი დატოვოს.

ვან დეიკი: „მესი ყველაზე რთული მეტოქე იყო“

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა თავის ყველაზე რთულ მეტოქეებზე ისაუბრა და თქვა, რომ მესის წინააღმდეგ უშეცდომოდ თამაში თითქმის შეუძლებელია:

— როდესაც შენ წინააღმდეგ სხვა ფეხბურთელები არიან, მათი გაკონტროლება შეიძლება, მაგრამ მესი სულ სხვა დონეა. ის ძალიან სახიფათო მოთამაშეა და მისგან ყოველთვის უნდა ელოდო რაიმე ექსტრაორდინალურს. ვფიქრობ, მსოფლიოში არც ერთი მცველი მის წინააღმდეგ თავს კომფორტულად არ იგრძნობს.

ფრანჩესკო ტოტი: „წელს იტალიის ჩემპიონატი არ განახლდება“

იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ წელს იტალიის ჩემპიონატი არ განახლდება, რადგან ქვეყანას დიდი დრო დასჭირდება იმისთვის, რომ გონზე მოვიდეს კორონავირუსის შემდეგ:

— ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ ფეხბურთისთვის არავის სცალია, ამიტომ მეეჭვება, რომ ჩემპიონატი განახლდეს, თუმცა კარგი იქნება, თუ ეს მოხდება. ფეხბურთი იტალიის განუყოფელი ნაწილია და მის გარეშე ცხოვრება ყველას უჭირს.

გრიზმანი ჟირუს და ბენზემას კონფლიქტს გამოეხმაურა



ოლივიე ჟირუს და კარიმ ბენზემას მცირე კონფლიქტი მოუვიდათ მას შემდეგ, რაც ბენზემამ განაცხადა რომ ჟირუ მისი დონის ფეხბურთელი არ არის, ხოლო ოლივიემ მას უპასუხა, რომ ის მსოფლიო ჩემპიონია, ბენზემა კი ამ ტურნირს ვერასოდეს მოიგებს.

გრიზმანმა განაცხადა, რომ ის არც ერთის მხარეს არ არის და ზოგადად არ მოსწონს მსგავსი კომენტარების გაკეთება.

გრიზმანმა ასევე თქვა, რომ ის თავის კოლეგებს შეურაცხყოფას არასოდეს აყენებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გია ჯაჯანიძე ახალგაზრდებს: „არასოდეს შეეჯიბროთ ხანდაზმულ ადამიანს“

ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე ახალგაზრდებს მოუწოდებს, ხანდაზმულებს არასოდეს შეეჯიბრონ:

— ახალგაზრდებისთვის ამის ცოდნა ყველაზე დიდი განძია. გახსოვდეთ, არასოდეს არ დაგავიწყდეთ, რომ სიბერე ელის ყველას.

არასოდეს შეეჯიბრო ხანდაზმულ ადამიანს, ის გამოცდილებით არის შეიარაღებული და აუცილებლად დაგამარცხებს.

ხანდაზმულ ადამიანს ძლიერი შუქი აქვს, მას შეუძლია გაგინათოს გზა.

ხანდაზმულ ადამიანს გამჭრიახი გონება აქვს, მას შეუძლია გაგიკაფოს გზა.

როცა ხანდაზმულ ადამიანს უყურებ, მასში დაინახე საკუთარი თავი და პატივი მიაგე მას.

სიბერე ძლიერია მაშინ, თუ საფუძველი ახალგაზრდობაში აქვს ჩაყრილი, — გვასწავლის ციცერონ მარკ ტულიუსი.

„ბებერი შლეგი, ჭაბუკ შლეგზე უფრო დიდი შლეგია.“

„სიბერის ნაოჭები უნდა წარმოადგენდეს იმ ადგილებს, სადაც ადრე კეთილი ღიმილი იმყოფებოდა.“

მოხუცი: დააკვირდი, შეიყვარე, ისწავლე, მოუსმინე, გაუგე და დაეხმარე მას.

ადამიანს, ვისაც მოხუცი არ უყვარდა, მას სასტიკი სიბერე ელოდება.

ჩვენ ყველანი მოვედით და მივდივართ, ზოგი ადრე, ზოგი გვიან. დრო ცოტაა, მოასწარით ისწავლოთ და შეიგრძნოთ სიცოცხლის სიყვარული.

არ თქვათ, რომ სიბერე არ გინდათ, სიბერე ბედნიერებაა, ის გზაა მარადისობისკენ, ის თქვენ გეკუთვნით, ის თქვენი ხვედრია.

ყველას ტკბილად დაბერებას გისურვებთ.

თეა დარჩიამ ილია მეორეს ცეკვა მიუძღვნა

ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავემ, თეა დარჩიამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ცეკვა მიუძღვნა.

ილიკო სუხიშვილისა და მისი ბენდის მუსიკაზე თეამ ძველი თბილისის სხვადასხვა უბნებში იცეკვა და თავისი შემოქმედებით ერის სულიერი მამის მიმართ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა.

ილია მეორისადმი მიძღვნილ ცეკვაზე ვიდეო იულია დავიდენკომ გადაიღო. ინტერნეტში გავრცელებულ კლიპს ბევრი მოწონება და გაზიარება აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 აპრილისთვის

ვერძი — ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. მერკურის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** — განიწმინდეთ სულიერად და ხორციელად. მიუტევეთ. გელით საინტერესო და ხელსაყრელი შემოთავაზება. **ტყუპები** — კრიტიკული დღეა. ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული ოპერაციის განხორციელებამდე კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** — კვლავ დაძაბული ხართ. საკუთარი პოზიციების მტკიცედ დაცვა აუცილებელია. **ლომი** — ქალაქგარეთ გასვლა გეკრძალებათ. ეს დღე ოჯახს მიუძღვენით. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** — საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დროა. ნებისმიერი რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** — გრძელვადიანი გეგმების კორექტირება მოგიწევთ. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** — დაწყებულ საქმეზე ან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, უარი თქვათ. გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** — ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** — დაკისრებული მოვალეობები ძალიან დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. სასიყვარულო პაემანი იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** — ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. საკუთარი გეგმების რეალიზებაში ხელს არაფერი გიშლით. **თევზები** — ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. თქვენი ენთუზიაზმი ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაჩაღის სახელწოდება ძველად გურიაში; 2. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. მდინარე პრაღაში; 6. ქართველი ძალოსანი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი, ტყიანი ბუნებრივი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 18. მუზეუმი მილანში.

თარაზულად: 1. მდინარე ახალციხეში; 5. იტალიური საავტომობილო კომპანია; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. ნავთობის, წყლის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. ფილატელისტის ალბომი; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. შტატი აშშ-ში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა